საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდ[ით]!

კვირა 6 ივნისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში **125 მანეთი**. ცალკე ნომერი ყველგან **5 მანეთი** განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი **10 მანეთი**, მეოთხე გვერდზე **6 მანეთი**. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის **(15—2) 200 მანეთი**. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: **ერთობის ქ. № 4.** შესახვევი რუსთაველის ქუჩის **№ 18-თან. ტელეფონი 16—62.**

№ 125 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 125

დამწუხრებული შვილი ალექსანდრე აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს მამის

**მელიტონ გიორგის ძე რამინაშვილის**

გარდაცვალებას. (1804 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: გერასიმე, ყაისარ, ესე და ალათი, რძლები: ფედოსი, პელაგი და მარო რამიშვილებისა აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს გარდაცვალებას ქ. თელავში საყვარელი დედისა

**ანუკი შარაშიძის-რამიშვილისა**

დაკრძალვის დღეთ დანიშნულია შაბათი 5 ივნისი. (1809 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: ვანო, ნესტორ და ვალოდია ფარნას ძენი ქლენტები, დედინაცვალი თეკლე, რძალი მარო, დები: დარიკო და ზინა, სიძე გერასიმე გოგოტიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასის და საყვარელის

**მარიამ ფარნას ასულის ქლენტის**

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე დანიშნულია კვირას, 6 ივნისს ნაშუადღევის 3 საათზე სტეფანწმინდის ეკლესიაში, სოფელ უჩხობში. (1818—1—1)

## განცხადება

## საქართ. რესპუბ. გზათა დეპარტამენტი

**ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და ყველა კერძო პირთა საყურადღებოთ შემდეგს:**

1) უკანასკნელმა შექმნილმა მდგომარეობამ რესპუბლიკაში გამოიწვია სათბობ მასალათა და ნავთეულობის კრიზისი. ამის გამო აუცილებლად საჭიროა რათა არსებული რაოდენობა ნავთეულობისა მოხმარებულ იქმნას ეკონომიურათ. დასახულ მიზნის განსახორციელებლად ყველა ორთქლის ქვაბები და სხვა მათი მსგავსი მანქანები დაუყონებლივ უნდა გადაყვანილ იქმნენ შეშით ან ფხვნილი ქვა ნახშირით გახურებაზე ვინაიდან ტყიბულის მსხვილი და კაკალი ნახშირი მოხმარებულ იქმნება მხოლოდ რკინის გზათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ შიდაწვის მანქანები რომელნიც უნავთოთ ვერ ამოძრავდებიან. რათა წესიერი მუშაობა ცოტა ხნითაც არ იქნეს შეფერხებული, ზემო ჩამოთვლილი დაწესებულებანი შეშის და ფხვნილი ქვა ნახშირის დამზადებას უნდა შეუდგნენ დაუყონებლივ, ვინაიდან ნავთის მიცემა შეწყვეტილი იქნება 20 ივნისიდან.

2) მთელი რაოდენობა ნავთეულობისა როგორც სათბობი, გადაგვარებული ნავთი, ნავთი, წასასობი ზეთი და ბანზვანი, რომელიც ინახება სახაზინო და კახეთის რკინის გზებზე, სახელმწიფო დაწესებულებათა, საზოგადო ორგანიზაციათა და კერძო პირთა საწყობებში—ირიცხება დეპარტამენტთან არსებულ ნავთეულობის გამნაწილებელ ბიუროში (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70—ნავთ-სადენის ნაწილი). [illegible] ქალაქის თვითმართველობის ერობის და სხვა საზოგადო ორგანიზაციათა შემწეობით.

3) ნავთობი შიდაწვის მანქანებისათვის და აგრეთვე სხვა ნავთეულობა სახელმწიფო საზოგადო და კერძო დაწესებულებათა და პირთათვის ბიუროს მიერ გაცემულ იქნება იმ გეგმის მიხედვით რომელიც ყოველთვიურათ შედგენილ იქნება ჩამოთვლილ დაწესებულებათაგან წარმოდგენილ მასალის თანახმათ.

4) სახელმწიფო დაწესებულებათ, საზოგადო ორგანიზაციათ და კერძო პირთ ნავთობი მიეცემათ სახაზინო რკინის გზებისაგან ერთი თვის საყოფი ბიუროს მიერ შედგენილ გეგმის მიხედვით.

5) ნავთი და ბანზვანი მიეცემათ მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებათ და საზოგადო ორგანიზაციათ, აგრეთვე ერთი თვის საყოფი თანახმად ბიუროს მიერ შედგენილ გეგმისა. ეს მასალა პირველ რიგში გაცემულ იქნება იმ კერძო პირთა საწყობებიდან, რომელნიც ითვლებიან ბიუროსთან არსებულ აღრიცხვაში: სათანადო ორდერების გაცემა ნახსენებ მასალის მისაღებათ დავალებული აქვთ ადგილობრივ ორგანიზაციებს (ერობა და ქალაქის თვითმართველობა).

6) რკინის გზებიდან ნავთობი და ნავთეულობა გაცემულ იქნება თანახმად ზემოთ მოყვანილ წესისა დირებულების წინასწარ გადახდის შემდეგ.

7) ფხვნილი ქვა-ნახშირის შეძენა საწარმოო დაწესებულებებს შეუძლიანთ ტყიბულის მაღაროებში, რისთვისაც ცნობა საჭიროების შესახებ უნდა წარუდგინონ ინსპექტორს გზათა დეპარტამენტთან ნებართვის მისაღებად.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟენერი **ბ. ჰიჰინაძე.**

ნავთეულობის განმანაწილებელ ბიუროს თავმჯდომარე ინჟენერი **მ. ოგანესოვი.** (6. 2—1)

## საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა

## კავშირი

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო ქალაქთა კავშირს

## მიიღოს თავის საწყობებში

საზღვარ გარეთიდან გამოგზავნილი საქონელი

## ტრანზიტის უფლების შენარჩუნებით

ესე იგი, ამ საქონლის გატანა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან შეიძლება

## განსაკუთრებული ნებართვის აუღებლათ.

განცხადება სატრანზიტო საქონლის ქალაქთა კავშირის საწყობებში ჩაბარების შესახებ და ამის შესახებ ყოველგვარი ცნობების მიღებისათვის უნდა მიმართოთ:

**ტფილისში** ქალაქთა კავშირის კომერციულ განყოფილებაში: გოგოლის ქ. № 51, ტელ. 11—54.

**ბათუმში** ქალაქთა კავშირის აგენტს ს. გ. სპექტორს, სმეკალოვის ქუჩა, № 13, ბინა ვარბელოვისა.

**ფოთი**—დროებით ნ. ღლონტს, ქალაქის სასურსათო განყოფილებაში. (6. 3—2)

## გზათა ტეხნიკოსის

## ზარისზის მისაღებად გამოცდები

შესდგება ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებლის შენობაში (დიდი-მთავრის ქ. № 70) ა. წ. 22 და 23 ივნისს

გამომცდელი კომისიის თავმჯდომარე ინჟ. **ვ. კაკაბაძე.** (1816—1—1)

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

## იწვევს ექიმს და ფერშალს

**პირობები შემდეგია:**

1) ექიმმა უნდა შეიმუშავოს საზოგადოების მედიკურ ნაწილის მოწყობის გეგმა.

2) ექიმმა უნდა მიიღოს გამგეობის მიერ განსაზღვრულ საათებში საზოგადოების სახელოსნოების შენობაში სახელოსნოების, გარაჟის და სადარაჯოს საამბულატორო ავათმყოფი მუშები და მოსამსახურენი.

3) ექიმი ვალდებულია ინახულოს ავათმყოფები მათ ბინებზედაც ეტლის ხარჯს იხდის თვით ავათმყოფი.

4) ფერშალს ეძლევა ბინა თვით სახელოსნოებში, სადაც იგი მუდმივ უნდა იმყოფებოდეს.

5) ექიმს ეძლევა ჯამაგირი 5.000 მან.—ფერშალს—4.000 მან. თვეში.

მთხოვნელთ განცხადება უნდა შემოიტანონ შემდეგი მისამართით: რესპუბლიკის (პეტრე დიდის) ქუჩა № 8, არა უგვიანეს 12 ამა ივნისისა. (6. 2—2)

## მეაბრეშუმენო!

**მექანიკური გამოშრობის დროს პარკი თანდათანობით გადადის შედარებით ნაკლებ თბილ და ნესტიან ჰაერიდან, უფრო თბილ და მშრალ ჰაერში. ამით აიხსნება, რომ პარკი გამოშრობის დროს არ ჰკარგავს თავის ბუნებრივ თვისებებს. თუ გსურთ, რომ პარკი კარგი ღირსების იყოს, მექანიკურათ გამოაშრეთ იგი.**

განმარტებისა და ჩაწერისათვის მიმართეთ ბ-ნს **მაცცუკელის**, ლომბარდის აბრეშუმის სართავ ქარხნის დირექტორს სამტრედიაში. (1694 1—1)

## ადერბეიჯანის ტრაღედია

ბალშევიკების პირველი შესვლა ქ. ბაქოში 1919 წ. მარტში აღინიშნა თათრების მასხრულ [illegible] წლის შემდეგ გამოიწვია საპასუხო ჟლეტა სომხებისა სექტემბერში, როდესაც ბალშევიკებმა ბაქო მიატოვეს. ჩვენთვის სრულიად აშკარაა, რომ, რაც უნდა სუბიექტიურად სძულდეთ კომუნისტების იდეოლოგებს ერთა შორის შუღლი რბევა და ხოცვა-ჟლეტა, საბჭოთა ჯარის შესვლა უცხო ქვეყანაში მაინც აუცილებლად გამოიწვევს სამოქალაქო ომს, ერთა შორის შუღლის გამწვავებას და ერთმანეთის რბევას, ადგილობრივ მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტას, მის სარჩოსაბადებელის განადგურებას და ყველა იმ უბედურებას, რაც უეჭველად მოსდევს უცხო ჯარის შესვლას ქვეყანაში.

ეს ჭეშმარიტება აშკარაა იმ საშინელი ამბებიდან, რომელსაც ადგილი აქვს დღეს ადერბეიჯანის სინამდვილეში. ბალშევიკების ჯარი ძალდატანებით არ შეჭრილა ადერბეიჯანში. ადერბეიჯანის ბრძენმა მესვეურებმა იგი თითონ მოიწვიეს თავის ქვეყანაში: მობრძანდით და გვიპატრონეთო. მაშასადამე, ბალშევიკების შესვლა ადერბეიჯანში მოხდარა საუკეთესო პირობებში. მიუხედავად ამისა წაიკითხეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში ის წარმოუდგენელი საშიხელება, რომელიც დატრიალებულა ქ. განჯაში, და დარწმუნდებით იმაში, რომ უცხო შეიარაღებულ ძალის თუნდაც მშვიდობიანი შემოსვლა ამიერ-კავკასიის პირობებში აუცილებელია და ქმნის ჯოჯოხეთურ უბედურობას ადგილობრივ მცხოვრებთათვის. განჯის ამბებმა გადააჭარბეს იმას, რაც მოხდა ქ. ბაქოში წარსულის წლის მარტში და სექტემბერში.

რუსეთის ჯარების შესვლამ განჯას მოუტანა გაჟლეტა ათი-ათასამდე თათრისა, 1500 წითელარმიელისა, გაუპატიურება 1500 მუსულმან დედაკაცისა, დაქცევა განჯის მუსულმანებით დასახლებულ ნაწილისა. გარდა ამისა რუსეთის ჯარის შესვლამ ამ ქალაქში ახალის ძალით ააგუზგუზა ნაციონალური სიძულვილის ცეცხლი, რომელიც ღვივოდა სომეხთა და თათართა შორის და რომელიც საბჭოთა ჯარის მოსვლამდის განჯაში დამცხრალი იყო. აჯანყებულ თათრებთან ბრძოლაში, როგორც ცნობებიდან ჩანს, რუსეთის ჯარებისათვის მხურვალე დახმარება გაუწევია სომეხ მცხოვრებლებს, ე. ი. გამეორებულა ის, რასაც წარსული წლის მარტში ქ. ბაქოში ჰქონდა ადგილი. საშინელება აქ იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ბაქოს მაგალითი გვიჩვენებს ვაი თუ საქმე ამ ერთი ჟლეტით არ გათავდეს: რუსეთის ჯარი განჯაში, ეჭვი არ არის, მოკლე ხნის სტუმრებია; გაივლის ცოტა ხანი იგი განჯას მიატოვებს, მაგრამ განჯაში დიდი ხნით მოიკიდებს ფეხს ის ეროვნული შეურიგებლობა, რომელიც რუსეთის ჯარის შესვლამ გააშწვავა ამ ქალაქში. ქვეყნისათვის არაფერია ისე საშინელი, როგორც უცხო დამპყრობ ჯარების შესვლა მის საზღვრებში. სახელმწიფო გაუძლებს დამოუკიდებლობის ლაკარგვასაც, შინაურ კრიზისსაც, ეკონომიურ გაჭირვებასაც, მაგრამ იგი ვერ გაუძლებს ხალხის ფიზიკურ განადგურებას და წელში გატეხას. თუ ხალხი ამ უკანასკნელ უბედურებას გადაურჩა როგორც უნდა არახელსაყრელად მოეწყოს მისთვის საერთაშორისო ურთიერთობა, მას მაინც შეიძლება ჰქონდეს მომავლის იმედი. ამატომ ჟყო რომ ჩვენ მიუტევებელ დანაშაულად და პოლიტიკურ სიბეცეთ ჩავთვალეთ ადერბეიჯანის მესვეურთა საქციელი, როდესაც მათ ასე სტუმართ-მოყვარეობით კარი გაუღეს რუსეთის ჯარებს. ტრაღედია, რომელსაც განიცდის ადერბეიჯანის ხალხი, ნაყოფია იმ პოლიტიკური უსუსურობისა, რომელიც გამოიჩინეს ორ-სამ თვეში გაკომუნისტებულმა ადერბეიჯანის პანისლამისტებმა. ისინი ფიქრობდნენ „წითელი არმიის" ხიშტებით ოსმალეთის აღდგენას და პანისლამისტურ ავანტიურის გულისთვის ადერბეიჯანის ხალხი გასწირეს.

## პრესა

„მშაკი" (№ 29) ეხება იმ საკითხს, თუ რა მიზეზით მოუთხოვნია ოსმალეთს ორი თვე ვადა საზავო ხელშეკრულების ხელმოსაწერათ.

„რით აიხსნება, რომ საკმარისათ არ ჩაუთვლია ოსმალეთს ერთი თვე. დღეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ოსმალეთს არა თუ არ უნდა ხელის მოწერა, არამედ—ემზადება დიდი მუხანათობის მოსახდენათ ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

როგორც ვიცით, სტამბოლში აღმოუჩენიათ დიდი მუხანათური ორგანიზაცია, რომლის მიზანი ყოფილა დაეხოცათ ურჯულო ყველა ქრისტიანები, და ემუქრებიან სულთანს, მის მემკვიდრეს და მინისტრებს, რომ კოლექტიურათ გადამდგარიყვნენ ისინი სამსახურიდან, უკეთუ საზავო ხელშეკრულების ძალით წაერთმევათ ოსმალოებს საკუთარი მიწები.

„ოსმალეთი მთელი თავისი ძალღონით ეცდება გააღრმავოს თავისი ქვეყნის შიგნით ანარქია და განაგრძოს ახალ-ახალ აჯანყებების მოხდენას, დაქსაქსოს მოკავშირეთა პოლიტიკა, წააჩხუბოს ერთმანეთს და დააყენოს ევროპა პანისლამიზმის და პანთურქიზმის ხიფათის წინაშე. და ყველა ეს ხდება ევროპის თვალწინ, იმ ევროპისა, რომელმაც დაამარცხა გერმანია და აიძულა ხელი მოეწერა მასთან საზავო ხელშეკრულობაზე. მაგრამ ეხლა რას ვხედავთ, ეს ევროპა ტკბილათ ელაპარაკება და ექცევა „ავადმყოფს" და ერთი დაკვრით ბოლოს არ უღებს იმას, რომელიც შხამავს მთელ ქვეყანას.

ევროპამ, რომელმაც დაიმორჩილა გერმანია, შეუძლია, უკეთუ მოინდომებს ბოლო მოუღოს არა თუ ოსმალეთის ახლანდელ მზადებებს, არამედ მთელ პანისლამისტურ მოძრაობასაც. მაგრამ ევროპა ჯერ კიდევ აჭიანურებს საქმეს, სანამ ოსმალეთი თავისებური დიპლომატიის წყალობით კიდევ არ გადარჩება საბოლოოთ სიკვდილს და კიდევ არ გაჟლეტს ქრისტიან ხალხებს".

* * *

„კომუნისტი" ცდილობს პასუხი გაგვცეს იმ წერილზე, რომელიც ჩვენ მის პირველ ნომერს ვუძღვენით. მაგრამ ეს პასუხი სრული მისი კაპიტულაცია არის. მკითხველს ეხსომება, რა წინააღმდეგობაში დავიჭირეთ ჩვენ „კომუნისტები". მოწინავეში ისინი სწერდენ, **უხეში ძალის საშუალებით არავის არ ვახვევთ** ჩვენს ნება სურვილსო". მათ პარტიულ რეზოლიუციაში კი ნათქვამია: **„შეიარაღებულ აჯანყების მაგიერ** ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებებიო". კ. ცხაკაია აცხადებს: **„ხელს ვიღებთ იარაღით ბრძოლაზეო"**. ამ სიტყვებით კომუნისტები თავის პირით აღიარებენ, რომ ისინი აქამდის შეიარაღებულ აჯანყების მეთოდით მოქმედებდენ. და ეს აღიარება სრულიად ამართლებს იმ ზომებს, რომლებსაც მიმართა მათთან ბრძოლაში ჩვენმა მთავრობამ.

„კომუნისტის" მესამე ნომერიც ხელახლად ადასტურებს, რომ ბალშევიკები აქამდის შეიარაღებულ აჯანყებას აწყობდენ საქართველოს წინააღმდეგ.

„ამ გადარჩენილთ არავითარი სხვა შესაძლებლობა არ დარჩა პარტიული მუშაობისა და სრული აუცილებლობით დადგა დღიურ წესრიგში „ერთობის" მიერ ათვალწუნებული ბრძოლის მეთოდები", (ე. ი. შეიარაღებული აჯანყება. მეპრესე).

ამნაირად „კომუნისტის" მესამე ნომერი თავის პატიოსან პირით უარს ამბობს იმაზე, რასაც აღიარებდა მის პირველ ნომრის პირველი წერილი. დიახ, შეიარაღებულ აჯანყებას ვაწყობდითო, გამოტყდენ დღეს კომუნისტები, მაგრამ ისინი ცდილობენ თავი გაიმართლონ.

„ამ შემთხვევაში შეიარაღებული აჯანყებები კი არ უძღოდა წინ რეპრესიებს, პირ იქით აუტანელმა რეპრესიებმა ჩააყენა პარტია მეტათ მძიმე პირობებში და აქ წამოიჭრა საკითხი იარაღით ბრძოლაზე. ჩვენი პარტიის არალეგალური მდგომარეობა მეტათ ხელსაყრელი შეიქნა მმართველ წრეებისათვის, რომლებიც არავითარ სხვა მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევდენ მას და ამავე დროს ადვილათ ამხობდენ რა ყოველ გამოსვლას, უფრო აძლიერებდენ რეპრესიებს და თან მასსის თვალში ჩვენს ხარჯზე ამართლებდენ ყოველ მათ დეფექტებს და მთელ თავის პოლიტიკას.

ჩვენ უკვე განვაცხადეთ, რომ ლეგალური არსებობა ჩვენთვის კერპი არ არის; ახლა ვიტყვით, რომ არც შეირაღებული აჯანყება იყო ჩვენთვის კერპი".

ასე მართლულობენ თავს კომუნისტები. მაგრამ მათდა სამწუხაროდ ისინი აქაც სიმართლეს ღალატობენ, რასაც ზედმიწევნით ამტკიცებს ჩვენი დემოკრატიის და ბალშევიკების ურთიერთობის უბრალო ქრონოლოგია: ბალშევიკები ჯერ-კიდევ სრულიად დაუბრკოლებლივ მოქმედებდენ ჩვენში, მათი წარმომადგენლები ქალაქის საბჭოშიც კი ისხდენ და აღვირწახსნილ დემაგოგიას ეწევოდენ, მათი გაზეთები დაუბრკოლებლივ გამოდიოდენ, მათი ფურცლები ცხადათ ვრცელდებოდა მაშინ, როდესაც ოსმალეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომის დროს მათ ჩვენი ჯარის ზურგს უკან შეიარაღებული აჯანყება მოაწყეს სამეგრელო-აფხაზეთში. რეპრესიები ბალშევიკების წინააღმდეგ სულ ახალი საქმეა, ბალშევიკების თავდასხმა ჩვენს რესპუბლიკაზე მის არსებობის პირველ დღიდანვე დაიწყო.

კარგი საქმეა, როცა კომუნისტები აღიარებენ, ამიერიდან აღარ ჩავიდენთ იარაღით თავდასხმასო. ეს იმის მომასწავებელია, რომ თავის ნამოღვაწარს წარსულში შეცდომათ სთვლიან. მაგრამ ცხადია, როდესაც ისინი ისტორიულ ქრონოლოგიას ამახინჯებენ და ამბობენ, ჯერ თქვენ დაიწყეთ თავდასხმაო.—ეს გადამახინჯება იმის მაუწყებელია, რომ დანაშაულის შეგნება მათში ღრმა არ არის.

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

**შრომა და პური.** მე დავესწარი მარტოვის მოხსენებას მენშევიკების კლუბ „ისკრაში". ლექციის მოლოდინში დავუწყე დათვალიერება მსმენელთ, დაუგდე მათ ლაპარაკს ყური. მომეტებული ნაწილი მუშები არიან, ურევიან „ობივატელებიც", როგორც მაგალითად განაპირა კუთხეების მეწვრიმალეები, მაგრამ მუშები სჭარბობენ. ლაპარაკიდან ირკვევა, რომ ბალშევიკებიც მოსულან. ერთნი ცნობის მოყვარეობისათვის, მეორეებს (ახალი ბალშევიკები) სურთ შეიტყონ რაში მდგომარეობს მენშევიზმი, გაიმართა კამათი. აი ორი რ[...] გზელი მუშა, გრძნობენ, რა თავს [...] ანთ წრეში იკვეხნიან:

„ჩვენ დეპოში ჩავფუშეთ „შრ[ომის] კვირა" და პირველი მაისი. მხოლ[ოდ] კომუნისტებმა მისცეს ხმა „შრომის [...]რის" შემოღებას. სულ 10—15 იყო". „არა, 10 კი არა, 40 იყო კ[ომუ]ნისტი, უსწორებს მეორე, მაგრამ მ[...] უმცირესობა იყო! დაე თითონ იმუშ[აონ], მე ვფიქრობ, რომ სხვა ქარხნებშ[იც] უარს განაცხადებენ მუშები მუშაობ[აზე]. როგორ შეიძლება მუშაობა! **ჯერ მ[...]მე, მერე მომთხოვე მუშაობა**".

მარტოვის მოხსენების შემდეგ გამ[...]თულ კამათიდან გამოირკვა, რომ [...] შევიკების თანამგრძნობნი, სწორედ [...] მსჯელობენ. როდესაც მე შევნიშნე, [რომ] მენშევიკები არ ემხრობიან ჩვენს „შრ[ომის კვირას]" და არ იღებენ საერთო [მუ]შაობაში მონაწილეობას, ხალხში გაი[...] ასეთი ხმა: „ცხენები ამუშავეთ, [...] უკვე მოვიქანცეთო".

მე მომიხდა ჩემს სიტყვაში აღმენიშ[ნა], რომ ასე მსჯელობენ „შკურნიკები" დაგა[...]არ შეფერის შეგნებულ მუშებს და მენშევიკები არიან სწორედ იდეოლოგები ამ შ[...]ნებულ „შკურნიკებისა". საქმე მენშევიკებში კი არ მდგომარეობს, არამ[ედ] იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა [...]ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, რომე[ლ]საც ასე მაგრათ აქვს გამდგარი ფესვ[ები] მუშებში.

ჯერ ყველას არ შეუგნია, რომ პრ[ოლე]ტარიატი მუშაობს თავისთვის. „ჩვ[ენ] ჯერ გვაჭამეთ და მერე მოგვთხოვ[ეთ] მუშაობა", თუ თქვენ მოითხოვთ ჩვე[ნ]გან მუშაობას, მოგვეცით პური. [...] გამოდის ასე: ჯერ მოგვეცით თავზე [...] ყრელად პური და მერე შეუდგებით [...] ტარებლების შეკეთებას და გადავზ[...] დავთ პურს. თუ არ გაგვაძლებთ, არ მო[...] ცემთ ორთქ-მავლებს და არ გადავიტან[თ] პურს. უნდა გავარჩიოთ „შკურნიკობ[...] შეუგნებლობისაგან. „შკურნიკობა" [...] ზიზღარი მოვლენაა, რომელსაც ბრძოლ[ა] უდა გამოვუცხადოთ, როგორც აქ, ასე [...] ფრონტზე. შეუგნებლობა და სიბნელე [...] ეს კაპიტალიზმის ნაშთია. ამას აგიტ[ა]ციის, პროპაგანდის საშუალებით უნდ[ა] ვებრძოლოთ. კომუნისტებმა მაგალით[...] უნდა უჩვენონ მათ თავდადებისა. გლ[...] ხებიც გაიძახიან ხშირათ: ჯერ მოგვე[...]ცით საქონელი და მერე მოგვთხო[...]ვეთ პურიო. ჩვენ ვახერხებთ დავარ[...] წმუნოთ გლეხობა, რომ მუშათა კლ[ა]სი გადაუხდის გლეხობას ვალს. მი[...] უფრო უნდა დავარწმუნოთ მუშები, რომ მათ დაუჯერონ თავიანთ თავს და იმუშაონ თავიანთ თავის საკეთილდღე[ო]თ. თუ გაძლიერდება შრომის ნაყოფი[...]ერება, გაუმჯობესდება მუშათა გამო[...]კვებაც. ყველა კომუნისტები მოვალენ[ი] არიან ყოველდღე უმტკიცონ შეუგნებ[...]ლებს, რომ ენერგიული შრომა იხსნი[ს] მუშათა კლასს შიმშილისაგან. არ არი[ს] საჭირო ლამაზი სიტყვები. ზედმეტი[ა] ორატორობა. უბრალო საუბრით შეიძ[...]ლება ჩავუნერგოთ ყველას, რომ საჭი[...]რო შრომა და პური. ლექციების მი[...]ტინგების შინაარსი უნდა შეეფერებო[...]დეს ციფრებს და ფაქტებს. **ლ. სოსნოვსკი.** („პერვომაისკი სუბოტნიკ.", 2 მაისი 1920 წ.).

**ოსმალეთი, საბჭოთა რუსეთი და სომხეთი.**

„იზვესტიაში" მ. სულთან-გალიევ[ი] სხვათა შორის სწერს: „ოსმალეთში რე[...]ვოლიუციონურ მოძრაობის ხელმძღვანე[...]ლობა პარტია „კუვაი მილლიას" (ნაცი[...]ონალური ძალა) ხელშია. ეს პარტი[ა] თითქოს აპირობდა შეთანხმებას ანტან[...]ტასთან, მაგრამ დარწმუნდა რა პრაქ[...]ტიკაზე ამ კავშირის უვარგისობაში ჩამოშორდა უკანასკნელ ხანებში სტამ[...]ბოლის მთავრობას და ცდილობს კავ[...]შირი დაიჭიროს ოსმალეთის კომუნის[...]ტებთან და საბჭოთა რუსეთთან.

რუსეთში რომ გამეფდეს რეაქცი[ა] ეს გააუარესებს ანატოლიის აჯანყე[...]ბულთა მდგომარეობას, რადგანაც [...] შემთხვევაში მონარქიული რუსეთი მტე[...]რი შეიქნებოდა ოსმალეთის. „კუვაი მილლიას" პარტია გრძნობდა რა [...] საფრთხეს, იმ დროს, როდესაც დენი[...]კინი მოსკოვისაკენ მიიწევდა, მას ზურგ[...]ში უწყობდა აჯანყებებს და ამით იძუ[...]ლებულყო დენიკინი წითელ არმიელებ[...]თან გაცხარებულ ბრძოლის დროს ერთ[ი] და ორი კორპუსი მოეხსნა ფრონტიდა[ნ] და აჯანყების ჩასაქრობათ გაეგზავნ[ა]. ასევე მუშაობდა „კუვაი მილლია" ბათუ[...]მის, ყარსის და არტაანის ოლქებში ოსმალეთის ოფიცრები, რომლები[ც] მუშაობდნენ ადერბეიჯანის არმიაში აგიტაციას ეწეოდენ ადერბეიჯანი[ს] ჯარში, რათა უკანასკნელნი შეე[...]თებოდენ საბჭოთა რუსეთს. „კუვაი მილ[...]ლიას" მოქმედება უფრო ნათლად გ[...] მოირკვა მას შემდეგ, რაც ანტანტ[ამ] ოფიციალურად მოახდინა სტამბოლი[ს] ოკუპაცია და გარეკა ოსმალეთის ნ[ა]ციონალური პარლამენტი. ბაქოს გად[...]ტრიალებამდე თვე ნახევრის წინ [...] დოქტორ ფუადთან მოვიდა მუსტაფ[ა] ქემალის სპეციალური კურიერი, რო[...]მელმაც შეატყობინა, რომ ანატოლიი[ს] აჯანყებულთ სურთ კავშირი დაიჭირო[ნ]

## გენერალური შტაბის ცნობა

5 ივნისი.

**დანისპარეულის და გოდერძის უღელტეხილის რაიონში ბანდებთან კერძობითი ხასიათის შეტაკებანი გრძელდება. მთელი კვირის განმავლობაში ბრბოებთან მომხდარ შეტაკებების დროს დანისპარეულიდან ხულოში მიმავალი გზა გადაჭრილი იყო. ამასთან ერთად ჩვენ ჟარი გვ თხრეს ხულოში ჩვენი რაზმისათვის მათომიდან მასალის მიწოდებაზ . ამის გა ო იძულებული ვიყავი ჩვენი რაზმი ხულოდან გამოგვეყვანა.**

**სხვა მიმართულებაზე სიწყნარეა.**

საბჭოთა რუსეთთან და იძლეოდენ წინადადებას ან გაეგზავნათ ანატოლიაში თავიანთი წარმომადგენლები, ანდა მიელოთ მათგან მისსია: „კუვაი მილლია" დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მასსაში, რადგანაც ეს პარტია სასტიკათ ებრძვის ანტანტას, სულთანს და მის მოსყიდულ მთავრობას.

მთელი ანატოლია აჯანყებულთა ხელშია. მათ განკარგულებაში არის კარგათ გაწრთვნილი და შეიარაღებული 200 ათასი მეომარი.

მეორე წერილში მ. სულთან გალიევი ეხება სომხეთს: „საბჭოთა რუსეთი, რომელიც მიწევს აღმოსავლეთისაკენ, გზაში შეეხლება სომხეთს". შემდეგ ავტორი აღნიშნავს: ყარაბახის აჯანყება მოამზადა სომხეთმა, მიზანი აჯანყებისა იყო განჯის ხელში ჩაგდება და ნაციონალური შოვინიზმის გაღვივება იმ ასკერებში, რომელნიც ბოლშევიზმით იყვნენ გაჟღენთილნი. მაგრამ თუ სომხეთი გაბედავს ანტანტის კარნახით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას, მისი მდგომარეობა ისეთია, რომ სასტიკ დამარცხებას იგემებს. მას შემოერტყმიან სამი მხრიდან საბჭოთა რუსეთი, საბჭოთა ადერბეიჯანი და აჯანყებული ანატოლია. სომხეთს შეუძლიან მოქმედება მაშინ, თუ მას ზურგი ოსმალეთის მხრივ უზრუნველ ყოფილი ექნება. ამას ანტანტა ვერ შესძლებს, რადგანაც დასჭირდება მთელი ანატოლიის დაპყრობა, ესე იგი, მათ მოუხდებათ ოფიციალურათ ომი გამოუცხადონ ანატოლიას. მაგრამ, არა გვგონია გაბედოს ანტანტამ ასეთი ნაბიჯი გადასდგას იმ დროს როდესაც ასე გართულებული მისი მდგომარეობა აღმოსავლეთში და ყოველ მხრივ აჯანყებები ხდება დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის წინააღმდეგ."

**ბაქოში მომხდარი გადატრიალება.** ამ დღეებში მოსკოვში ჩამო იდნენ ოსმალეთის კომუნისტები, რომელთაც გამოუვლიათ ბაქოზე... მათი გადმოცემით ბაქოში ასეთია მდგომარეობა: ადერბეიჯანის მთავრობას სათავეში ედგა უსუბბეგ-ნასიბეკოვის კაბინეთი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია „მუსავატი". მუსავატელების სიმპატია მოკავშირეებისაკენ არის, მათ იმედი აქვთ ანტანტის. ბუნებრივია, რომ ადერბეიჯანის მცხოვრებთ, რომლებიც შესდგებიან მუსულმანებისაგან, საშინლათ სძულთ ანტანტა, რომელიც აღმოსავლეთში მტაცებელ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, ხალხს არ მოსწონდა მუსავატის პოლიტიკა და თითქმის მთელი მასსა წინააღმდეგი იყო მთავრობის, რაც შეეხება ბაქოს მუშებს, ისინი თავიდანვე ეწინააღმდეგებოდენ მუსავატისტებს და ბოლშევიკებს თანაუგრძნობდენ. (ბაქოში ორგანიზაციულათ შეკავშირებული მუშათა რიცხვი აღწევდა 76 ათასს. მათ შორის 60 ათასი თათარი იყო. ადერბეიჯანის ჯარში 30 ათასი კაცისაგან შესდგება. ყველანი ბოლშევიზმით არიან გაჟღენთილნი. ამას ხელს უწყობდა პირველ ყოვლისა პარტია. „გუმეტის" აგიტაცია და ის გარემოება, რომ ჯარის სათავეში იდგენ ოსმალეთის ოფიცრები, რომლებიც ეწეოდენ აგიტაციას „მუსავატის" მთავრობის წინააღმდეგ და მოუწოდებდენ კავშირი დაეჭირათ საბჭოთა რუსეთთან, იმ რუსეთთან, რომელმაც უნდა იხსნას აღმოსავლეთის ხალხი საერთაშორისო იმპერიალიზმის უღლისაგან. უკანასკნელ ხანებში ადერბეიჯანის ჯარები გაიგზავნა სომხეთის საზღვრებზე, რადგანაც ყარაბახში მოხდა სომეხ მცხოვრებთა აჯნყება. გაიმართა ბრძოლა ადერბეიჯანსა და სომხეთს შორის. ადერბეიჯანის მთავრობას დაღესტნის საზღვარზე მხოლოდ 200—300 ასკერი ჰყავდა და, რასაკვირველია, ასეთ ძალებით ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ბოლშევიკებს. კომუნისტების კომიტეტი მუშაობდა ყველას თვალწინ აშკარად. მუშებს ჰქონდათ მშვენიერად მოწყობილი კლუბი, რომელიც მთავარი შტაბი იყო კომუნისტების პროპაგანდისტების. გამოდიოდა 4—5 გაზეთი კომუნისტებისა თათრულ ენაზე. ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას ეწეოდა „გუმეტის" წევრი ამხ. ალი-გაიდარ კარაევი ახალგაზდა მაგრამ ენერგიული მუშაკი. ამხანაგი ალი გაიდარ კარაევი ბაქოს მუშებმა გაიყვანეს ნაციონალურ პარლამენტში, სადაც ის განმარტოებული აწარმოებდა სასტიკ ბრძოლას მუსავატისტებთან. მხოლოდ გადატრიალების ერთი თვის წინ მთავრობამ გადამჭრელი ნაბიჯები გადასდგა კომუნისტების წინააღმდეგ და დაუწყო მათ დევნა. მაგრამ საშინლად დამარცხდა „მუსავატის" პარტია. მაშინ სხვა ხერხს მიმართეს. მოიდომეს „კეთილ-მეზობლური" განწყობილების დამყარება საბჭოთა რუსეთთან. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდენ. ბაქოს მუშათა კლასსმა არ დაუჯერა „მუსავატელებს" და წითელარმიელების შემოსვლამდე ჩამოაგდო „მუსავატის" მთავრობა და გამოაცხადა ბაქოში საბჭოთა მთავრობა. („იზვესტია" № 97)

**„პური გაიაფდა".** როდესაც სუხარევკაზე ფასები თანდათან იზრდებოდა,— ჩვენს გაზეთებს ჩვეულებათ გადაექცათ ეწერათ „მეშოჩნიკების" თავდასხმის გამარჯვების რელიაციები. ეხლა ფასების აწევა-დაწევაზე არას სწერენ,—ეს აშკარა გაუმჯობესებას მოწმობს: „გაჩუმებული არიან,—მაშასადამე, თავს კარგათ გრძნობენ". მართლაც ჩვენ მოწამენი ვართ შრომის პირველ გამარჯვებისა: **პური გაიაფდა.** რამდენიმე კვირის წინათ სუხარევკაზე პური გირვანქა ღირდა 310 მან., ახლა ღირს 240 მან.,—გაიაფდა მთელი მეოთხედათ. აქ თავი იჩინა სურსათ სანოვაგის დატვირთვისა და გადაზიდვის გაუმჯობესებამ, რაც მოსალოდნელი იყო სითბოების მოახლოვებით და გადასაზიდ საშუალებათა გაუმჯობესებით საბჭოთა მთავრობის არსებობის პირველ წელს—1918 წ., აპრილის ბოლო რიცხვებში და მაისის დამლევს მოსკოვში და სხვა ცენტრებში ნამდვილ შიმშილობამ იჩინა თავი. პურს იძლეოდენ თითქმის მხოლოდ გირვანქის მერვედ ნაწილს, ხშირად კი სრულიადაც არ იძლეოდენ,— დედა ქალაქშიაც კი. გავიდა ერთი წელი და 1919 წლის აპრილ-მაისში კვლავ თავი იჩინა სურსათსანოვაგის ნაკლებობამ, თუმცა არა ისე მწვავედ, როგორც 1918 წელს. გაჭირვება დიდი იყო, მაგრამ ამის გადატანა უფრო ადვილი იყო, ვიდრე 1918 წელს. ეხლა კი, მესამე წელს—1920 წ. იმავე თვეებში, პირიქით, ჩვენ ვამჩნევთ მდგომარეობის გაუმჯობესებას. პური მეტია, პური იაფდება. სუხარევკა მოწყენილია. და აქვს საბუთი კიდეც, რისთვის უნდა მოიწყინოს: 3 წ. გამოცდილება აშკარავებს, რომ სახელმწიფოში შეკავშირებული პროლეტარიატი თანდათან უმკლავდება მომენტის სიძნელეს. ყველას ესმის, რომ სუხარევკას, როგორც სპეკულიაციის, როგორც ხალხის სიმშილზე აღმოცენებულ პარაზიტიზმს ვერ მოკლავთ ვერავითარ დეკრეტებით. მაგრამ როდესაც შესაძლებელი იქნება რკინის გზით გადავიტანეთ ყოველგვარი მარშრუტები და სხ. მაშინ სპეკულიაცია კვდება ბუნებრივი სიკვდილით, მაშინ იგი არ არის საჭირო მცხოვრებთათვის, მაშინ არსებობისათვის ბრძოლაში იგი უკან იხევს —დაბლა სწევს ფასებს პურზე. ფასების დაკლება პირველხარისხოვანი პოლიტიკური ფაქტია, იგი მოასწავებს შრომის ორგანიზაციის თანდათანობით გამარჯვებას საზოგადოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ კერძო-ეგოისტურ ბურჟუაზიულ მეურნეობის თარეშზე. თბილ ამინდების გამო რკინის გზებმა მეტი პური გადაიტანეს. მალე პური წელითაც გადაიზიდება. გადაზიდვის საქმის უმაღლეს საბჭომ უზრუნველყო „გლავკოდისთვის" პირველ რეისებით რამოდენიმე მილიონ ფუთ პურის გადაზიდვას საშუალება,—პურს გაიტანენ ვოლგით იაროსლავის, იაროსლავის, კოსტრომის გუბერნიებში, რიბინსკით პიტერში და სხ. ზაფხული ჩვეულებრივათ შიმშილობის დრო იყო მოსკოვში და სხვა სამრეწველო გუბერნიებში. ყოველ შემთხვევაში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენ გადავიტანთ ამ ზაფხულ დაუბრკოლებლათ თუ გაგრძელდა შრომის ენერგიის ის აღტყინება, რომელიც ყოველ მხრივ ხელს უწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას. პური გაიაფდა სპეკულიაციის ბაზარზე. პატიოსანი შრომით მოპოვებული პური ავიწროებს ნახევრათ ლეგალურ „გლავ-სპეკულიაციის" (მთავარი სპეკულიაციის) პურს. „ერთი მიწოლა,—და მტერი გაიქცევა". გაივლის ერთი ან ორი წელიწადი,—და ამხ. კამენევი აღფრთოვანებულის სიტყვით ყოფილ ტალახიან სუხარევკას ალაგზე გახსნის რომელიმე „ბავშთა მოედანს", ან „1-ლ მაისის საზოგადოებრივ ბაღს". **ი. ლარინი.** („პრავდა", № 94, 4 მაისი).

**„საყოველთაო სამხედრო სწავლის დღე".** 20 მაისს მთელ რესპუბლიკაში შესდგება „ვსეობუჩისა და სამილიციო არმიის დღე". კომუნისტურ ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ დღის მოწყობაში და ჩატარებაში. ორგანიზაციებს წინადადება ეძლევათ: 1) მონაწილეობა მიიღონ ჯარში გასაწვევთა სასპორტო-გიმნასტიურ ვარჯიშობაში, 2) მობილიზაცია უყონ მთელ თავიანთ ძალებს და გაავრცელონ ჯარის მობილიზაციის იდეა და 3) გამოიყენონ ეს „დღე" საგიტაციო დღეთ ახალგაზდათა კავშირის იდეის გასავრცელებლათ („იზვესტია", 93).

**ბანდიტიზმი.** ამ გაზაფხულზე ბანდიტები მოსკოვიდან მის რაიონებში გადაბარგდნენ. განსაკუთრებულ ყურადღებას მათში იქცევენ ბანდიტები, რომლებიც შეკავშირებულნი არიან, შავი არწივის ბრბოში. კურსკის რკინის გზაზე ორი შეიარაღებული ბანდიტი თავს დაესხა ა. შარიკოვს, წაართვეს მას 7,000 მან. და დაიმალენ. „პოკლონნის" მთაზე ორი ბანდიტი თავს დაესხა მოსკოვში მომავალ კუზნეცოვსა და კროტკოვს, წაართვეს რამოდენიმე ათასი მან. ფული, საათები და სხვა ნივთები და მიიმალენ. მათ განაცხადეს, რომ „შავი არწივის" წევრები არიან. ლეპინის რაიონში თავს დაესხა კოპეიკინს ოთხი ბანდიტი, წაართვეს მას 28,000 მან. და უთხრეს: „წადით და თუ გზაში ჩვენი ყოჩაღები შეგხვდენ,—უთხარით, რომ თქვენ უკვე გაგვცარცვეს „შავ არწივებმა-ო". ოთხი ბანდიტი თავს დაესხა კომლევის ოჯახს და წაართვა 65,000 მან, მე-16 ვერსზე კურსკის გზაზე ბანდიტებმა პრულევსკაიას ქალს წაართვეს 500,000 მან. („იზ.", № 93)

**თამბაქოს დარიგება.** 4 თვის შემდეგ „გლავტაბაკიდან" მიღებულია 50 მილიონამდე ცალი პაპიროსი, რომელიც დაურიგდებათ მცხოვრებთ ბარათებით. პაპიროსები დარიგდება მეორეთ გამოცემულ № 1 ახალ ბარათებით. მიღებული პაპიროსები დარიგდება რაიონების მიხედვით, ვინაიდან აღნიშნული რაოდენობა პაპიროსებისა საკმაო არაა მოსკოვის მწეველ საზოგადოებისათვის. ელიან „გლავტაბაკიდან" პაპიროსების ახალ პარტიას. ძველ, № 13 თამბაქოს ბარათებით პაპიროსების დარიგება გაგრძელდება 5 მაისამდე, რის შემდეგ აღნიშნული ბარათი გაუქმებული იქნება. („იზვესტია" 93).

**„პრავდას" აფიშები.** პირველ გვერდზე დიდი ასოებით შემდეგი სწერია: „პოლონეთის შლიახტამ აიღო კიევი და სძარცვავს უკრაინას. პეტლიურამ გაჰყიდა უკრაინელი გლეხობა და უკრაინის პურიც პანების პოლონეთს მიჰყიდა. მუშებო და გლეხებო! თეთრების თავდასხმას თქვენ წითელი შეტევით უნდა გასცეთ პასუხი. („პრავდა" № 98).

## საქართველოს და რუსეთის შორის დადებული ხელშეკრულება

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთის მხრით, და რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყნის შორის მტკიცე და მშვიდობიანი ურთიერთობა—ხსენებულ ქვეყნების მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადაწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონისძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურმა ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილისძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმებულ ქვემომოყვანილ მუხლებში:

მუხლი I.

გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხსა და ქვეყნის მიმართ.

მუხლი II.

გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მუხლი III.

1) სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე პსოუს გასწვრივ ასახჩის მთამდე გადადის ხსენებულ ასახჩისა და აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ქუთაისის და ტფილისის გუბერნიების ჩრდილოეთის საზღვრით ზაქათალის ოლქამდე და ხსენებულ ოლქის აღმოსავლეთ საზღვრით მიდის სომხეთის საზღვრებამდე.

2) ყველა უღელტეხილი, მდებარე აღნიშნულ მოსაზღვრე ხაზზე 1922 წ. პირველ იანვრამდე ნეიტრალურად არის აღიარებული. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დაიკავოს ეს უღელტეხილები თავის ჯარებით ან-და გაამაგროს ისინი.

3) დარიალის უღელტეხილზე, ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული ნეიტრალიზაცია გავრცელდება ბალთიდან კობამდე, მამისონის უღელტეხილზე ზარამაგიდან ონამდე, და ყველა სხვა უღელტეხილებზე ხუთი ვერსის მანძილზე ორივე მხრით აღებული იმ პუნქტიდან, სადაც საზღვარი გადის.

4) სახელმწიფო საზღვარის სწორ გაყვანას ორ ხელშემკვრელ მხარის შორის მოახდენს განსაკუთრებული მოსაზღვრე შერეული კომისია, რომელშიაც შევა ერთნაირი რიცხვი ორივე მხრიდან. ხსენებული კომისიის მუშაობის შედეგი დამტკიცებული იქნება ორივე ხელშემკვრელ მხარის შორის დადებულ განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

მუხლი IV.

1) რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებათ გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თფილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

2) შემდეგში, ურთიერთობის თანდათანობითი გამორკვევის მიხედვით საქართველოს და რუსეთს გარდა სხვა სახელმწიფო ერთეულებს შორის, რომელნიც არსებობენ ან შესაძლებელია შეიქმნენ საქართველოს სხვა საზღვრებთან გარდა იმისა, რომელიც აწერილია ხსენებულ ხელშეკრულების მესამე მუხლში, რუსეთი მზათ იქნება იცნოს საქართველოს შემადგენელ ნაწილად ყოფილ კავკასიის სანამესტნიკოს ესა თუ ის ნაწილი, რომელიც გადავა მის ხელში ამ სახელმწიფო ერთეულებთან დადებულ ხელშეკრულების ძალით.

მუხლი V.

აღიარებს რა სამართლიანად რუსეთის მოთხოვნილებას, რომ არ იქნეს დაშვებული შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან და საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ, საქართველო ვალდებულად ხდის თავს მოახდინოს:

1) დაუყონებლივი განიარაღება და კონცენტრაციულ ბანაკებში მოთავსება ამა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის დროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფთა, თუ კი ასეთები აღმოჩნდებიან, ან სამხედრო და საზღვაო სამხედრო ნაწილების, კომანდებისა და ჯგუფების, რომელნიც მომავალში შესაძლოა მის საზღვრებში გადავიდენ და რომელნიც რუსეთის მთავრობის პრეტენდენტის როლში გამოვლენ, აგრეთვე წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა, ორგანიზაციებისა და ჯგუფებისა, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის, ან მოკავშირე სახელმწიფოთა, მთავრობის ძირს ჩამოგდება.

2) დაუყონებლივი განიარაღება და დაკავება საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ გემებისა, რომელიც შედის ამა მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებისა და ჯგუფების საზღვაო სამხედრო ძალთა შემადგენლობაში და აგრეთვე, რომელიც ამა თუ იმ მოსაზრებით ამ ორგანიზაციების და ჯგუფების განკარგულებაშია და საქართველოს ნავთსადგურებში იმყოფება. ამ გემების ეკიპაჟის მიმართ სავსებით უნდა განხორციელდეს ამა მუხლის პირველი პუნქტის დადგენილება.

3) ყოველგვარ ჯილდოს მოუთხოვნელად და სრულებით უფასოდ გადაეცეს რუსეთს ყველა სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონება, ღირებულებანი და ფულის თანხები, რომელნიც ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციათა და ჯგუფების მემკვიდრეობაში, სარგებლობასა და განკარგულებაში იმყოფება. ამ მუხლის თანახმად სამხედრო და საზღვაო სამხედრო ქონებათ იგულისხმება: გემები და სხვა სანაოსნო საშუალებანი და არტილერიის, საინტენდანტოს (მათ შორის სასურსათო და ნივთეირი დაკმაყოფილების) საინჟინერო და საავიაციო მოწყობილებანი.

4) განიარაღების შემდეგ გადაეცეს რუსეთს ამა მუხლის პირველ მუხლში აღნიშნული ნაწილები, ორგანიზაციები, ჯგუფები და გემების ეკიპაჟი.

**შენიშვნა:** რუსეთი პირობას იძლევა, რომ იგი ამ მუხლის ძალით გადაცემულ ყველა პირს სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

5) მიიღოს ზომები და განდევნოს საქართველოს ტერიტორიის საზღვრებიდან, რომელიც ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლით არის განსაზღვრული, ყოველგვარი ჯარი და სამხედრო რაზმები, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ჯარების შემადგენლობაში არ შედის.

6) მიღებულ იქნას ზომები, რომ მომავალში არ დაუშვან საქართველოს ტერიტორიაზე იმ ჯარებისა და სამხედრო რაზმების არსებობა, რომელნიც ამა მუხლში მეხუთე პუნქტშია აღნიშნული.

7) იმ პირებს, რომელნიც ამა მუხლის პირველსა და მეხუთე პუნქტში ჩათვლილ ორგანიზაციებს, ჯგუფებსა და ნაწილებს ეკუთვნიან, რამდენათაც ეს პირები თავისი ეროვნებით არ არიან ქართველები, აეკრძალოს რა სახითაც არ უნდა იყოს, მათ შორის მოხალისეთ საქართველოს სახელმწიფო ჯარში შესვლა.

8) ტერიტორიის იმ საზღვრებში, რომელიც დადგენილია ამა ხელშეკრულების მეოთხე მუხლით, მომავალში არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება რაიმე ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელნიც თავის თავს აცხადებენ რუსეთის ან მისი ნაწილის მთავრობის, ანდა რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოს როლში აგრეთვე არ მისცენ შედგენისა და არსებობის საშუალება წარმომადგენლობებს და თანამდებობის პირთ. ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომელთაც მიზნათ ექნებათ რუსეთის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოთა მთავრობის ჩამოგდება. ამასთანავე, საქართველო ვალად იღებს არ დაუშვას ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფების, წარმომადგენლობათა და თანამდებობის პირთა მიერ საქართველოს ტერიტორიით გატანა ყველაფერი იმისა, რითაც შეიძლება ისარგებლონ რუსეთზე და მის მოკავშირე სახელმწიფოებზე თავდასასხმელად. აგრეთვე აეკრძალოს თავის ნავთსადგურებსა და წყლებში ამგვარ ორგანიზაციათა გემებისა და სხვა სანაოსნო საშუალებათა არსებობა, გარდა საერთაშორისო სამართლით დადგენილი შემთხვევებისა იმ გემების მიმართ, რომლებიც იღუპებიან და სხვა.

9) იმ შემთხვევაში, თუ ამა მუხლის მერვე პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციების, ჯგუფებისა, წარმომადგენლობისა და თანამდებობის პირთა მიერ მოხდება მერვე პუნქტში აღნიშნულ აკრძალვათა დარღვევის ცდა, იმ პირებსა და ქონებას, რომელიც საქართველოს მთავრობისაგან მის მიერ ამა მუხლის მერვე პუნქტით თავის თავზე მიღებულ ვალდებულების ძალით იქნება დაკავებული, ამა მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირობის თანახმად მოეპყრობიან.

მუხლი 6.

რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედების არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნათ საქართველოს მთავრობის დამხობა ექნება დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებისა და ორგანიზაციების.

მუხლი 7.

შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეხუთე და მეექვსე პუნქტების განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან, რუსეთის გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თვისი სასახელმწიფოებრივი მეპატრონეობისფორმალური განხორციელების შემდეგ.

მუხლი 8.

ამა ხელშეკრულების მუხლების მეხუთე და მეექვსეს სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად არსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება. ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადაცემა უნდა გათავდეს ამ ხელშეკრულების დადების დღიდან ორი თვის განმავლობაში.

მუხლი 9.

1) საქართველოს ჩამომავლობის პირთ, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე სცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლის არიან შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველთ, რომელნიც ზემოაღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

2) დაწერილებითი მხარე ამ მუხლის აღსრულების შესახებ დამტკიცებული იქნება განსაკუთრებულ შეთანხმებით ორივე ხელშემკვრელ მხარეს შორის.

3) ორივე ხელშემკვრელ მხარის მოქალაქენი, რომელთაც სურთ ისარგებლონ ამ მუხლით მინიჭებულ უფლებით, ვალდებულნი იქნებიან აღასრულონ სავალდებულო ფორმალობა ერთი წლის განმავლობაში ამა მუხლის მეორე პუნქტის თანახმად მომხდარ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 10.

საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრატიული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტურ პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

**შენიშვნა:** საქართველო ვალდებულია დაუყონებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთაგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემო აღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მუხლი 11.

ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია, იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მუხლი 12.

ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

1) ორივე ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის სავაჭრო დამოკიდებულებას საფუძვლად უდებს უდიდეს ხელის შეწყობის პრინციპს.

2) იმ საქონელს, რომელიც მიაქვთ ერთ-ერთ ხელშეკრულ მხარეებიდან დანიშნულებისამებრ მეორე მხარემ არავითარი სატრანზიტო ბაჟი და გადასახადი არ უნდა დაადვას.

მუხლი 13.

ხსენებულ ხელშეკრულების მე 12-ტე მუხლში აღნიშნული 1 და 2 პუნქტები უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე 12-ტე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მუხლი 14.

დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულებანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნეს უახლოეს დროში. ორ ხელშემკვრელ მხარეთა ურთიერთ შორის კონსულების დამოკიდებულების შესახებ განსაკუთრებულ შეთანხმების დადებამდე, რისთვისაც მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომა, მათი უფლებანი და ვალდებულებანი განისაზღვრებიან ამავე საგანზე ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის არსებულ კანონმდებლობით.

მუხლი 15.

საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთ ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

შემადგენლობა, უფლება და ვალდებულებანი ამ კომისიისა განისაზღვრება განსაკუთრებულ ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცდება ცალკე კომისიისათვის ორ ხელშემკვრელ მხარის შეთანხმებით.

ხსენებულ კომისიებს დაევალება სხვათა შორის:

1) სავაჭრო და სხვა ეკონომიური ხასიათის შეთანხმების შედგენა.

2) მოწესრიგება საკითხებისა, რომელიც შეეხება ყოფილ ცენტრალურ არქივების საქმის საწარმოებელ დაწესებულებათაგან სასამართლო და ადმინისტრატიულ დეპოზიტების და ეგრეთვე სამოქალაქო მდგომარეობის აქტების გამოყოფას.

3) გამორკვევა საკითხისა ბათომ-ბაქოს ნავთსადენის იმ ნაწილის მფლობელობის, განკარგულების და მოხმარების წესის შესახებ, რომელიც თანახმათ ხსენებულ ხელშეკრულების 4 მუხლისა იარსებებს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს საკითხი დამტკიცებული იქნება შემდეგ საბოლოოდ განსაკუთრებულ შეთანხმებით ორ ხელშემკვრელ მხარის შორის.

მუხლი 16.

ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წელს, 6 მაისს, ორ ეკზემპლიარად. **გ. ურატაძე. ლ. კარახანი.**

## „წითელ" ადერბეიჯანში

ერევნის რადიო-სადგურს შემდეგი ცნობა დაუჭერია: „26 მაისი, 20 საათი. სამხედრო, სასწრაფო. მებრძოლ კოჟანოვის კორპუსის უფროსს, ენზელი; ასლი, რასკოლნიკოვს და შტაბის უფროსს ბაქოში.

სპარსეთის ასტარაში სიწყნარეა. რუსული ასტარა, 15 საათი. შირვანის რა-

## სადღეისო შენიშვნები

2.

**„არც გვრცხვენია, არც გვეშინია".**

ერთს საკითხში ჩვენს წინააღმდეგ შეერთებულა ყველა ჩვენი მტრები, დაწყებული ბოლშევიკებიდან და გათავებული ეროვნულ-დემოკრატებით. ყველა მათ უდავოთ მიაჩნიათ, რომ ჩვენ, სოციალდემოკრატები ვმუშაობთ და ვზრუნავთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს, ბურჟუაზიულ წესწყობილების, კერძო საკუთრების დამკვიდრებაზე. ბოლშევიკ-ფედერალისტებ-ესერების მთელი კრიტიკა დაფუძნებულია ამ ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ ბრალდებაზე, ყოველ მათ საოპოზიციო თუ სადემაგოგიო გამოსვლას მიზნათ აქვს დასახული ამხილოს სოც.-დემოკრატიის „ბურჟუაზიულობა", როგორც ეკონომიურს, ისე პოლიტიკურს სფეროში. ამ მხრით დასახელებულ სამ პარტიათა შორის არავითარი გარჩევა არ არის. ბრალდების დასაბუთება, გამოთქმები, ერთგვარი ტრაფარეტათ ქცეული რევოლიუციური ჟარგონი, რომელიც ერთიანათ ნასესხებია კომუნისტებისაგან, აი ის საერთო, რაც მათ აერთებს სოც.-დემოკრატიის წინააღმდეგ.

თუ ბოლშევიკ-ფედერალისტ-ესერები, აღნიშნავენ რა ჩვენ „ბურჟუაზიულობას", გვიკიჟინებენ მუშათა კლასის ღალატს ამ უკანასკნელის თვალში ჩვენს შესარცხვენათ და გვირჩევენ „გაბედული სოციალისტური" ნაბიჯების გადადგმას, ეროვნულ-დემოკრატები, პირიქით, ჩვენს „ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენებაში" ხედავენ თავიანთ პროგრამის განხორციელებას, მათ თავი მოაქვთ ამით, ყოველ დღე გაიძახიან თავიანთ ორგანოში ხომ ხედავთ, სოც.-დემოკრატიამ ჩვენი პოლიტიკა მიიღო, ცხოვრებამ ჩვენ გაგვამართლაო. ამაში ისე არიან დარწმუნებული ეროვნულ-დემოკრატები, რომ ზოგი მათი მწერალი (ს. დარიანი) „საქართველოს" ფურცლებზე პარტიულ მუშაობის მთელ პერსპექტივებს ამყარებენ ამ ჩვენს მიერ მათი პროგრამის „მიღებაზე".

საერთოთ კი ყველა ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები დარწმუნებული არიან, რომ ჩვენ, სოც.-დემოკრატებმა, ფერი ვიცვალეთ, „შევეგუეთ" სინამდვილეს, დავკარგეთ სოციალისტობა, გადავიქეცით ბურჟუაზიულ-დემოკრატებათ. გვიკიჟინებენ გამმარჯვნებას—„მემარცხენენები" ჩვენდა შესარცხვენათ, მემარჯვენეები თავის საქებათ.

მართალია ეს? მართლა „გამოიცვალა" სოც.-დემოკრატია, მართლა დავტოვეთ სოციალიზმი, მართლა „ვმუშაობთ" ბურჟუაზიულ სახელმწიფოს განმტკიცებაზე?

როდესაც ამტკიცებენ ამა თუ იმ პარტიის მიერ თავის საპროგრამო პრინციპების დავიწყებას, როდესაც ამბობენ, რომ პარტია „გამოიცვალა", „შეეგუა" სინამდვილესო, საკითხი ასე უნდა დაისვას: ამბობს და მოქმედებს ეს პარტია რევოლიუციის მსვლელობასა და მის აღმშენებლობითი პრაქტიკაში პრინციპიალურათ სხვანაირათ, ვიდრე ის ამბობდა და მოქმედებდა რევოლიუციის წინა დღეებში, თუ არა. და თუ არა, თუ პოლიტიკური პარტია განაგრძობს რევოლიუციის მსვლელობაში იმ ტაქტიკურ ნაბიჯების გადადგმას, რომელიც საერთოთ, პრინციპიულათ გამომდინარეობს მის ძველსა და მრავალჯერ აწონდაწონილ პროგრამიდან, მაშინ ის ააშკარავებს თავის სიმტკიცეს, ცხოველმყოფელობას, მის მეცნიერულ ნიადაგზე დგომას.

რევოლიუციის პროცესში ქართველ დემოკრატიის ხელმძღვანელობა წილათ ხვდა სოც.-დემოკრატიას. როდესაც გამოცხადდა დამოუკიდებლობა იგივე ს.-დემოკრატია, მოწოდებული დარჩა სახელმწიფოს სათავეში მოხვდენოდა, დღეს ეს პარტია აწარმოებს უმთავრესათ მძიმე სახელმწიფოებრივ მუშაობას, თანახმათ მისი პოლიტიკურ-ეკონომიურ მსოფლმხედველობისა ეკრება საძირკველი საქართველოს სახელმწიფოს. რათ ფიქრობენ, რომ ქართველი სოციალდემოკრატია, მოექცა რა სახელმწიფოს სათავეში, თავის მუშაობის დროს დაკარგა თავისი სოციალისტური სახე, „გამოიცვალა", „ბურჟუაზიულ" წეს-

ზმის მე-4 გუნდი პროვოკატორებისა და გამყიდველების უფროსობის ქვეშ იმყოფება, ახუნდოვის გუნდმა უარი განაცხადა გემის დატვირთვაზე და მთელის იარაღით ლენქორანის მიმართულებით წავიდა. მიიღეთ გადამჭრელი ზომები მათ დასაჭერათ და იარაღის ასაყრელათ. ამასთაავე აჯანყდენ დანარჩენი გუნდებიც; ამიტომ მე იარაღი ავყარე მთელ რაზმს. ამის შემდეგ მე მათ თავი მოვუყარე გემ „მიხეილ კოლესნიკოვ“-ზე. („სლ.“).

**თფილისი ივნ. 5.** განჯის აჯანყების შესახებ სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: გლეხთა ამბოხება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ განჯის მიდამოებში ჩააქრეს, თუმცა აქა-იქ შეტაკება დღემდე გრძელდება. თათრების უბანი ქალაქ განჯაში ერთავათ დანგრეული და განადგურებულია საარტილერიო ცეცხლით, რომელიც სამი დღისა და ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ მოქმედებდა. გაუსროლიათ რამდენიმე ათასი ყუმბარა. ბოლშევიკების გამარჯვებას ხელი შეუწყო სომხების გამოსვლამ, რომელნიც აშკარად მიემხრენ საბჭოთა ჯარებს. შეტაკებამ ეროვნულ ჟლეტის ხასიათი მიიღო: საბჭოთა ჯარების მხრივ მოკლულია 1500 კაცი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 2000 კაცამდე. თათრებს დაუხოცეს 10,000 კაცამდე. 8000 გვამი ჯერ განჯის ქუჩებში ყრია. საბჭოთა ჯარმა, რომელმაც აიღო განჯა, ჯერ ვერ მოასწრო მათი დამარხვა. ათასგვარი სენი ვრცელდება. ქალაქის დამორჩილების დროს საბჭოთა ჯარების მიერ გაუპატიურებულ იქნა 1500 მაჰმადიანი ქალი. მთელი მუსულმანობა, განურჩევლათ პარტიათა, განუსაზღვრელ გლოვასა და მწუხარებაშია. (სდს.).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 ივნისი.

**ბოლშევიკების ცნობები.**

**ცეცხლისაგან განადგურებულნი.**

ბორისოვში დარჩა რამოდენიმე ქოხი და დანგრეული საწყობები. 10,000 მცხოვრებნი, რომლებიც ცეცხლიდან თავის გადარჩენას ცდილობდნენ, გაიქცნენ ტყეებში, დარჩენ ტიტვლები და მშივრები, საცვლების და ქონების წაღებაც ვერ მოასწრეს. მცხოვრებთა მდგომარეობა საშინელია. მსხვერპლი ძალიან დიდია. სამხედრო ჯარის რევოლ. საბჭო სასწრაფო ზომებს იღებს რათა დაეხმაროს დაზარალებულთ სურსათით, ფულით და კარავების მოწყობით.

**სამღვთო ომი.**

**როსტოვი.** მუშათა მიტინგზე ზინოვიევმა მოუწოდა ყველას, რომ ბურჟუაზიას გამოეცხადოს სამღვთო ომი.

**აღმოსავლეთ პრუსიაში.**

აღმოსავლეთ პრუსიაში რაღაც თვალსაჩინო ამბებს მოელიან. აღნიშნავენ, რომ სოფლებში თავს იყრის ბალტიის ჯარი და ცდილობენ მცხოვრებთ იარაღი ჩამოართვან. სახელმწიფო კომისარმა ბოროვსკიმ განაცხადა კიდევაც, აღმოსავლეთ პრუსია დიდი ამბების წინაშე სდგასო.

**ინგლისის მუშების დელეგაცია სამარაში**

ინგლისის მუშათა წარმომადგენლები მოვიდენ სამარაში საგუბ. საბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტი, და პროფესიონალურ კავშირთა გაერთიანებულ სხდომაზე ინგლისის სტუმრებს ოვაცია გაუმართეს. ორატორთა რიცხვში გამოვიდნენ მაჰმადიანები, რომელთაც განაცხადეს, რომ არ დაჰყრიან იარაღს სანამ დასავლეთის მტრებს არ დაამარცხებენ, და სანამ მაჰმადიანთა აღმოსავლეთს არ გამოაცლიან ხელ„ ინგლისის კაპიტალს ვილიამსმა მადლობა გადაუხადა ასეთი შეხვედრის გამო და სთქვა, რომ ინგლისის მუშები პოლონეთის ფრონტზე მუშათა ყოველ გამარჯვებას სიხარულით ეგებებიან.

**სამხედრო ცნობა.**

3—4 ივნისის დროის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ—მოლოდეჩნოს მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. კიევის სამხრეთ-აღმოსავლეთით 35 ვერსზე ჩვენი ჯარი დნეპრის აღმოსავლეთ ნაპირზე გადასულ ჯარს ებრძვის. ბელაია-ცერკოვის სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ცხენოსან რაზმის დახმარებით მტერი დაამარცხა, და შეტევის დროს 600 პოლონელი მოჰკლა. ქალ. სკვირის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მტერს უკან დაახევინა. წამოიყვანა ტყვეები და ხელში ჩაიგდო 5 ტყვიისმფრქვეველი. ვაპნიარის რაიონში ჩვენმა ჯარმა სად. კრიჟოპოლი აიღო. შეტევას განაგრძობენ. დასავლეთ დვინის მარცხენა ნაპირის რაიონში ჩვენმა ჯარმა დვინის ჩრდილო-დასავლეთით 35 ვერსტზე სოფლები აიღო. სვენციანის მიმართულებით დაბა კომაიანის აღმოსავლეთით 6—8 ვერსტზე ჩვენ რამდენიმე სოფელი ავიღეთ. დაბა პოსტავიეს ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი მტრის იერიშებს იგერიებს.

**ფრანგული ცნობები.**

**სომხეთის მანდატი.**

233 ხმით 62 წინააღმდეგ ამერიკის სენატმა სომხეთის მანდატი უარყო.

**დიდი ვეზირი პარიზში მიემგზავრება.**

კონსტანტინოპოლიდან მოსული დეპეშის თანახმად დიდი ვეზირი კონსტანტინოპოლიდან პარიზში მიემგზავრება ამ კვირის დამლევს, რათა ზავის პირობებზე პასუხი გასცეს.

**კ ი ლ ი კ ი ა შ ი.**

იუწყებიან, რომ კილიკიაში საფრანგეთის ჯარსა და ნაციონალისტებს შორის შეთანხმება მოხდაო.

**სპარსეთი და საბჭოთა რუსეთი.**

თეირანიდან იუწყებიან: სპარსეთი საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებას აწარმოებს ენზელიდან ბოლშევიკური ჯარის გაყვანის შესახებო.

**საბერძნეთი და ბულგარეთი.**

„დებად“ ბეჭდავს სტამბულინსკის განცხადებას საბერძნეთის ჯარის მიერ ფრაკიის ოკუპაციის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ ბულგარეთის მთავრობა საბერძნეთის ოკუპაციის წინააღმდეგი არ იქნება და ყოველ ღონეს იხმარს, რათა ხელი შეუშალოს ფრაკიაში რაიმე ბრბოების შესვლასო. მე დარწმუნებული ვარ, სთქვა მან, რომ მხოლოდ ლოიალურ პოლიტიკას შეუძლია სან-რემოში მიღებული გადაწყვეტილება ხელახლა განხილვამდე მიიყვანოსო.

**ბოლშევიკები და ოსმალები.**

„ტანი“ ბეჭდავს თფილისიდან მოსულ კორესპონდენციას, სადაც ხაზ-გასმულია რუსი ბოლშევიკებისა და ოსმალთა ნაციონალისტების კავშირის განუხორციელებლობა, მიუხედავათ იმისა, რომ გარეგნულად ეს შესაძლებლად სჩანს. ბოლშევიკების ეკონომიური დოქტრინები ვერ შეუთანხმდებიან მუსულმანთა ფეოდალურ შეხედულებას საკუთრების შესახებო.

**ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების გარშემო.**

საბჭოს თავმჯდომარემ მილიერანმა სენატის საგარეო საქმეთა კომისიას განმარტება მისცა ოსმალთა ხელშეკრულების მთავარი პროექტებისა და აგრეთვე სირიაზე საფრანგეთისათვის მიცემულ მანდატის შესახებ. განიხილა რა ფინანსიური საკითხები, საბჭოს თავმჯდომარე შეეხო ემირ ფაიკალის მიმართ ჩვენ მიერ წარმოებულ პოლიტიკას, რომელიც ლოიალური თანამშრომლობის შემსუბუქების სურვილით არის ნაკარნახევი. რაც შეეხება ყველა საყურადღებო საკითხს მოსულეთის სამთლობელოს შესახებ რომელიც ნავთიან ნიადაგით არის გარშემორტყმული, ის ვალდებულებანი, რომელიც ინგლისის მიმართ არის მიღებული აღსრულებული იქნება, მაგრამ საფრანგეთი მიიღებს კომპენსაციის მესოპოტამიაში გერმანიის ნავთის წყაროებისა და სპარსეთის ნავთის 25 პროც. სახით.

**ო ს მ ა ლ ე თ შ ი.**

ოსმალო ნაციონალისტთა მიმართ მდგომარეობა გაუმჯობესდა. საფრანგეთის მთავრობა ყველგან ზომიერად მოქმედებდა. სულთანი კონსტანტინოპოლში რჩება. სომხეთს მიეცემა საჭირო საზღვრები.

# ახალი ამბები

„თერგის მთავრობა,“ რომელიც, 6 ივნისის „სლოვოს“ (№ 124) გადმოცემით თფილისში შემდგარა, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით საქართველოს საზღვრებიდან განიდევნა.

✦ **სომხეთის მთავრობამ** უარჰყო რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა, რომ ხსენებულ საბჭოს წარმომადგენლები დაეშვათ სომხეთის საგანგებო სასამართლოში უკანასკნელ ბოლშევიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიმღებ რუსების საქმეთა გარჩევის დროს.

✦ **ერევნიდან** იუწყებიან, რომ ქურთ-ოსმალთა ჯარები კულპის რაიონს სცლიან და მაკოში (სპარსეთშია) გადადიან.

✦ **განათლების სამინისტრომ** გადასწყვიტა თავის გამგებლობაში მიიღოს თფილისის სახალხო უნივერსიტეტი, რომლისთვისაც ყოველთვიურათ გადაიდება 1 მილიონ 200 ათასი მან. ამასთან ერთად განზრახულია სახალხო უნივერსიტეტის მოქმედების გაფართოება.

✦ **ფრონტის** მთავარი კომიტეტის მიერ შემდეგი და მეხუთე საჩუქრების ტრანსპორტი 8 ივნისს, სამშაბათისთვის იგზავნება ახალციხის მიმართულებით. ვისაც სურვილი აქვს თავისი საჩუქრები წარმომადგენლებითურთ შემოუერთონ ამ ტრანსპორტს დაუყოვნებლივ გვაცნობონ სასახლეში მთავარი კომიტეტის კანცელარიაში.

✦ **ყარაბაღის სომხეთა** მე-9 ყრილობის დელეგაცია თფილისში ჩამოვიდა, რომელიც აცნობებს საქართველოს მთავრობას და უცხო სახელმწიფოთა მისიებს ხსენებულ ყრილობის გადაწყვეტილებას: არავითარ შემთხვევაში არ დანებდნენ ადერბეიჯანს და ბრძოლა განაგრძონ.

✦ **მომარაგ.-ის ფონდი.** სატარიფო პალატაში ატყობინებენ, რომ სპეციალურმა კანტროლმა, რომელიც მომარაგების ფონდის რევიზიას ახდენს, სურსათ-სანოვაგის მიმღებ სიიდან ბევრი უკვე გარდაცვლილი პირი ამოშალა. ამოშლილია სიიდან ყველა მოსამსახურენი, ვინც 10,000 მანეთზე მეტს იღებენ თვეში. სხვათა შორის, საკანტროლო კომისიამ გამოარკვია, რომ მომარაგების ფონდიდან სანოვაგეს ბევრი ისეთი პირი ღებულობდა, რომელსაც დიდი ჯამაგირი ქონდა. აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც მეპატრონენი სწერდენ თავის შვილებს მოსამსახურეთა სიაში და მათთვის პურს იღებდენ. სატარიფო პალატა აღნიშნავს, რომ სიების ასეთ გაწმენდის შემდეგ შესაძლებელი გახდება მუშებისა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესობა. (სდს).

✦ **შავი ქვ ს მრეწველთა ყრილობა.** ჭიათურაში 1 ივნისს გაიხსნა მორიგი მე-23 ყრილობა შავი ქვის მრეწველთა. ყრილობა შეუდგა რკინის გზის შტოის იმ ხეობებში გაყვანის საკითხის განხილვას, სადაც იმყოფება შავი ქვა, რათა ეს ადგილები ჭიათურის სადგურს შეუერთონ. ყრილობამ დაისახა მიზნათ განიხილოს საკითხები ჰაერში მავთულებზე ჩამოსაშვებთა ბრომბერებისა და სხვათა მოწყობის: ასეთი მოწყობილებანი ბევრათ გააიაფებს მარგანეცის გადატან-გადმოტანას. (სდს).

✦ **სინემატოგრაფი.** კვირას, ივნისის 6-ს ქალთა მეშვიდე გიმნაზიის შენობაში (ერმოლოვის ქუჩა № 13) გაიმართება სინემატოგრაფი დილის 12 საათზე ბავშვებისთვის.

✦ **გამოფენა.** დღეს, 1 საათზე, ეროვნულ გალერეის დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 13) ქართველ ხელოვანთა საზოგადოება გახსნის ინტერნაციონალურ სურათების გამოფენას.

✦ **მ მარაგების სამი ისტრო** უცხადებს თავის ღრმეს მადლობას სადგურ ბათუმის უფროსს, მოქალაქე ყაზახაშვილს იმ დაუღალავ შრომისთვის, რომელსაც ეწევა ის მომარაგების სამინისტროს საქმის გამო. შრომისა და მომარაგების მინისტრი ერაძე.

✦ **სახელმწიფო თეატრში,** დღეს, ცნობილ ბარიტონ ნ. შეველიოვის მე-3 გასტროლი „ევგენი ონეგინი“.

✦ **კვირას** ივნისის 6, დილის 9 ს. დანიშნულია სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს სასწრაფო სხდომა ბიუროს ბინაზე.

✦ **დედათა და ბავშვთა მზრუნველობის** საზოგადოება აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ 6 ივნისს ალექსანდრეს ბაღში დანიშნული დიდი სეირნობა გადაიდო 13 ივნისისათვის.

✦ **„სინათლე“ სახელმწიფო თეატრში.** სამშაბათს, 8 მაისს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველი ნაწილი „სინათლისა“.

✦ **თავხედი კომისარი.** 29 მაისს თფილისში ვანქის შესახვევში გარეუბნის კომისარს ნიკ. ჩოლოყაშვილს პატარა ბიჭი ქურდის დადევნების დროს მე-4 უბნის კომისარმა ჩიკვინიძემ ხელით შეურაცხყოფა მიაყენა, იარაღი აჰყარა და ამასთანავე უდიერად მოიხსენია ერობა. თფილისის სამაზრო ერობის გამგეობამ თანაგრძნობა გამოუცხადა ბ. ჩოლოყაშვილს და სთხოვა ქალაქის მოურავს ჩიკვინიძე სამსახურიდან დაითხოვოს პასუხის გებაში მიცემით.

✦ **ჟურნალი „მხედარი“.** გამოვიდა ჟურნალი „მხედარი“ (№ 2), რომელშიაც მოთავსებულია წერილები და ნაწარმოებნი: ს. დევდარიანისა, ივ. გომართლისა, ავქ. აბესაძისა, ლ. ცაგარლისა, დ. არონიშიძისა, დ. მეჩონგურისა, გ. ქუჩიშვილისა, ს. აბულაძისა, ცეცხლაძისა, ართმელაძისა და სხ. ჟურნალი ღირს 10 მ.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ორშაბათს, 7 ივნისს, შესდგება მორიგი კრება ვერის მუშათა კლუბის გამგეობისა. წევრების დასწრება აუცილებელია.

— კვირას, 6 ივნისს, საღამოს 5 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება „კაპეიკას“ კავშირის წევრებისა.

— 6 ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქის მმართველობის დარბაზში შესდგება წლიური კრება ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიური საზოგადოების წევრთა. რადგანაც ეს მეორე კრება არის, თანახმად წესდების § 33, კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავათ დამსწრე წევრთა რაოდენობისა. გამგეობა.

— ორშაბათს, 7 ივნისს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სხდომა. ფრაქციის ბიუროს წევრებს ვთხოვთ მობრძანდენ ერთი საათით ადრე.

# თფილისის მუშათა ორგანიზაციებს

(მოწოდება).

ავლაბრის რაიონში არსებული 11 სხვადასხვა მუშათა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებიც შევდივართ სოციალურ დამხმარე საზოგადოების გამგეობაში, მოგმართავთ თქვენ, თფილისის ყველა რაიონების მუშათა ორგანიზაციებს, რათა გამოეხმაუროთ ჩვენს მოწოდებას და შექმნათ ადგილობრივად ერთი მძლავრი საზოგადოება სოციალური დახმარებისა.

სოციალურ დამხმარე საზოგადოებას საფუძვლად უნდა დაედოს უმთავრესად შემდეგი ძირითადი თვისებანი: უპირველესად ყოვლისა ჯგუფურ და პიროვნებათა ქველ-მოქმედების ნაცვლად ფრთები უნდა გაშალოს აქტიურმა მოქმედებამ მუშათა ორგანიზაციებისამ და ფართო დემოკრატიამ თვით უნდა მისცეს სოციალურ დამხმარე საზოგადოებას თავისი ძალები. სოციალური დახმარება მცხოვრებთა სუსტ ნაწილს უნდა მისცეს თვით დემოკ. შეკავშირებულმა ძალამ მხოლოდ დემოკრატიის ფართო მონაწილეობით, სოციალურ დახმარების საქმეში აქტიური ჩარევით არის შესაძლებელი ამ საზოგადოების სწორ და უტყუარ გზაზე დაყენება, მხოლოდ მაშინ ჩაეყრება სოციალურ დამხმარე საზოგადოებას მკვიდრი დემოკრატიული და რევოლუციონური საძირკველი, როდესაც ამ საქმეს თვით აიღებს ხელში დემოკრატია.

სოციალურმა საზოგადოებამ უნდა მთავარ საკითხად გაიხადოს უმუშევართა საკითხის მოწესრიგება, უპატრონო ბავშთა, შრომის უნარს მოკლებულთა ზრუნვა-პატრონობა და სხვა...

სოციალურ დამხმარე საზოგადოებამ მჭიდრო კავშირი უნდა დაიკავოს საერთო სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ ორგანოებთან: სახელმწიფო და ქალაქი უნდა უწევდეს დახმარებას სოციალურ საზოგადოებას სახელმწიფოებრივ და მუნიციპალურ მასშტაბით.

1 ივნისს ამ საკითხის შესახებ თფილისის ქალაქის გამგეობამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: მოისმინა რა მოხსენება შრომისა და სოციალურ დახმარების განყოფილებისა, რომლითაც თვითმართველობას ემცნო რომ არსდება ერთი ცენტრალური ორგანო სოციალური დამხმარე საზოგადოებისა და ამ გზით დემოკრატიის მოქმედება ერთიანდება, მიზან-შეწონილად სცნო, ის მატერიალური დახმარება, რომელსაც ქალაქი აძლევს არსებულ სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებას, ეს დახმარება ამიერიდან მიიღონ ხსენებულმა საქველმოქმედო საზოგადოებებმა მხოლოდ ცენტრალურ სოციალურ დამხმარე საზოგადოებიდან, რომლის განკარგულებაში ყოველ თვიურად გადავა 75,000 მან. ამავე დროს საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ პროფ. კავშირის სეკრეტარიატმა და ს. ს. დ. მ.პ. თფილისის კომიტეტმაც მიზან-შეწონილად დაინახა მოეწყოს სოციალური დახმარების საქმე ზემო აღნიშნულ საფუძველზე. უკანასკნელი სიტყვა უნდა სთქვან მუშათა ორგანიზაციებმა, ამიტომ ჩვენ მოგმართავთ, რათა დაესწროთ საზოგადო კრებას, რომელიც შესდგება, კვირას 6-ს ივნისს, საღ. 5 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, სადაც სიტყვებს წარმოსთქვამენ ამხ. ირ. წერეთელი, ივ. გომართელი და სხ.

ამ მოწოდებას ხელს აწერს მესამე რაიონში (ავლაბარი) არსებული კულტურული, პოლიტიკური და სხ. ორგანიზაციები, რიცხვით თერთმეტი.

# ფრონტისთვის

პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მიიღო შემდეგი საჩუქრები ფრონტზე გადასაგზავნათ: 100,000 ც. პაპიროსი შესწირეს თითეულმა, თამბაქოს შემდეგ ქარხნებმა: ენფიაჯიანცისამ, ხეილანოვისამ, „კომეტამ“, საფაროვმა, ბოზარჯიანცმა, „სლონმა“ (100 გირ. თამბაქო). თამბაქოს ქარხნებში მომუშავეებმა: ენფიაჯიანცის, 24,000 ც. პაპ. „სლონის“ მუშებმა 2,700 ც., საფაროვისამ 5,760 ც. ხეილანოვისამ 3700 ც. „კომეტამ“ 8800 ც. ბოზარჯიანცისამ 5000 ც. ფულათ შესწირეს ფრონტს „კომეტის“ მუშებმა 50000 მ., ხეილანოვის მუშებმა 21,000 მ., საფაროვის მუშებმა 15,000 მ. „სლონის“-ამ 6,750. გაზეთები დაუთმეს რედაქციებმა „ერთობამ“ 80 ც. „ბორბამ“ 50, „გრუზიამ“ 55, „სახალხო საქმემ“ 70. „საქართველოს რესპუბლიკამ“ 40. „სლოვოს“ 85 ც. „ეშმაკის მათრახმა“ 10. საქართველოს კოოპერატივთა კავშირმა 50 ფუთი საპონი.

—

2 ივნისს ფრონტზე გაემგზავრენ საჩუქრებით პროფესიონალურ კავშირის სპეციალური კომისია ა. ხელაძე, სალირაშვილი, გოგვაძე, ბუდანოვი, თევზაძე.

(წერილი რედ. მიმართ)

ამხ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ შემდეგი: 30 მაისს 1920 წ. შესდგა საზოგადო კრება თფილისის აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირისა, დღიურ წესრიგში იყო დასმული საკითხი ფრონტის დღის მოწყობა. ამ კრებაზე ჩვენებურმა „კომუნისტებმა“ ისარგებლეს რა სულ მცირე უმრავლესობით აიხადეს სავსებით პირბადე და უარყვეს ფრონტისთვის მატერიალური დახმარების აღმოჩენა. აგრეთვე ჩვენს წინადადებაზე, რომ რევოლუციაში შეეტანათ მორალური მნიშვნელობის დახმარება მაინც ამაზედაც უარი სთქვეს, რის შემდეგაც ჩვენ კრება დავსტოვეთ. ამის შემდეგ მათი დამოკიდებულება ფრონტისადმი ჩვენის აზრით აშკარათ მტრულია. ვინაიდან ამ კრების დადგენილება არის მარტო სამი ხმის უმეტესობით გამოტანილი და მთელ კავშირის წევრებს სცხებს ჩირქს, ჩვენ მოვალეთ ვსთვლით განვაცხადოთ რომ ჩვენ სულით და გულით, მთელი ჩვენი ძალით და შეძლებით ვართ ფრონტთან განუყოფელი, რომ მთელ საქართველოს დემოკრატიასთან ერთათ ვაშას ვძახით ჩვენი დამოუკიდებლობის და რევოლუციით მონაპოვარ თავისუფლების დამცველ გმირებს გვარდიასა და ჯარს. ჩვენ გვწამს, რომ ორიოდე მოღალატის ზურგში ჩხავილი მათ გმირობას სრულებითაც ვერ შეაფერხებს.

სალამი და გამარჯვება ჩვენს გმირებს!

თფ. აფთიაქებში მომუშავეთა
პროფ. კავშ. ს. დ. ფრაქცია.

—

თფილისის მილიციის უფროსის მიქელაძის ინიციატივით მის სამმართველოში შეგროვილ იქნა 110,000 მ. ფრონტის სასარგებლოთ. ყველა მოსამსახურემ მხურვალე მონაწილეობა მიიღო, მხოლოდ 8 აღმოჩნდა ისეთი, რომელთაც არ მოისურვეს თავიანთი წვლილის გაღება. ამ 8 მოსამსახურეში 4 ქართველი ქალია, რომელთაც 100 მანეთი ვერ გაიმეტეს ფრონტისათვის და 600 მან. კი არ იშურებენ „დუხების“ და „პუდრისთვის“. სირცხვილი მათ, ვინც არ აფასებს მეომართა ღვაწლს;

ე. ალხანიშვილი.

—

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობამ გაუხსნა 200,000 მ. კრედიტი თავის კინემატოგრაფიულ განყოფილებას ფრონტზე სამხედრო-სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის წინადადებით სეანსების მოსაწყობათ. კავშირის კინემატოგრაფიული განყოფილების თანამშრომელნი უკვე გაემგზავრენ ფრონტზე.

# ქართველი ისრაელები

„სახალხო საქმის“ 19 მაისის ნომერში (829), მოთავსებული იყო საყურადღებო წერილი მიხაკო ხანანაშვილისა; ავტორი მშვენივრათ ასურათებს ჩვენს ქართველ ისრაილთა მდგომარეობას და მოითხოვს ვისგანაც ჯერ არს სათანადო ყურადღებას, რათა ჩვენ, ქართველი ისრაელები არ ვიქნეთ შესაფერ ყურადღებას მოკლებულნი, ისეთ რთულს და მნიშვნელოვან საკითხში, როგორიც არის საკონსტიტუციო კანონით უფლება-მფარველობათა საკითხი; ავტორი ეხება

---

წრობილებას ამკვიდრებს? გამოდის, რომ ჩვენ პარტიას დავიწყებია ძველი პროგრამა, შეუთვისებია სხვისი ბურჟუაზიული პროგრამა.

ცხადია, ასე იფიქრებს ყველა, ვისაც თავის შინაურობაში არ აქვს წყეულაფერი რიგზე. ასე მოიჩვენება ყველას, ვისაც ან მართლაც დავიწყებია თავის ძველი მსოფლ-მხედველობა და პროგრამა ამ რევოლიუციის ქარტეხილში. ან თავისი დამოუკიდებელი არც მსოფლმხედველობა და სამოქმედო ხაზი რა ქონებია და სხვისი მაჩანჩალა ყოფილა, ან ის, ვინც პოლიტიკური ცხოვრება მხოლოდ რევოლიუციის პირველ დღეებში დაიწყო და მანამდი კი ბანკებსა და კლუბებში განისვენებდა, რისთვისაც დრო და მოცალება არ ექნებოდა სხვისი პროგრამა შეესწავლა. სწორედ ასეთი პარტიებია დღეს ჩვენი შემრცხვენელნი. პირველ კათეგორიას ეკუთვნიან ბოლშევიკები, მეორეთ ესერ-ფედერალისტები, მესამეს ჩვენი ნაციონალდემოკრატები.

და მართლაც, როგორი იყო ჩვენი ახლობელი პროგრამა რევოლიუციის წინა დღეებში, როგორ გვეხატებოდა რუსეთის მომავალი რევოლიუცია და რას მოველოდით მისგან ჩვენ, სოც.-დემოკრატები?

ეს რევოლიუცია ისე გვქონდა წარმოდგენილი, რომ ის ვერ მოახდენდა საწარმოვო ურთიერთობაში რადიკალურ გადატრიალებას, ვერ გასცილდებოდა ფულისა და საქონლის მეურნეობის ფარგლებს, ვერ მოსპობდა კერძო საკუთრებას, როგორც მასიურ მოვლენას. თუ გინდათ, ეს იქნებოდა რევოლიუცია სოციალური, მაგრამ არა სოციალისტური. მიტომ რომ ასეთი იქნებოდა გარდაუვალი ისტორიულ-ეკონომიური პირობები ქვეყნისა: ამიტომ ჩვენ ის გვენატრებოდა, როგორც რევოლიუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული.

სოციალ-დემოკრატიის ასეთი გათვალისწინება რევოლიუციის მომავალი შედეგებისა დამყარებული იყო მის საერთო ისტორიულ შემეცნებაზე ბუნებრივათ გამომდინარეობდა ისტორიაზე მატერიალისტურ შეხედულებიდან. თანახმათ ამისა შედგენილი იყო პარტიის პროგრამა—მინიმუმი, რომელიც რევოლიუციას უმტკივნეულოთ შეეძლო განეხორციელებინა.

ამიტომ ჩვენ გვწამდა, რომ ის ახალი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ისტორიულ პირობების შესაფერათ რევოლიუციის მიწურულში სახელმწიფოს სათავეში მოექცეოდენ, განახორციელებდენ თავისით, ან იძულებული იქნებოდენ მუშათა კლასის ზეგავლენით განხორციელებიათ შემდეგი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური რეფორმები, რომლებსაც აიტანდა ქვეყნის საწარმოვო მდგომარეობა:

მიწის მშრომელ გლეხობისთვის გადაცემა ამა თუ იმ ფორმაში, წოდებათა გაუქმება, მუშათა საკითხის ფართოთ დაყენება, 8 საათის სამუშაო დღე, დიდი მნიშვნელობის წარმოებათა და მიწის სიმდიდრეთა გასახელმწიფოება, სახელმწიფოს საწარმოვო ცხოვრებაში ჩარევა და სხვა ეკონომიურ სფეროში და დამფუძნებელი კრება, დემოკრატიულ კონსტიტუციის გამომუშავება, სამოქალაქო თავისუფლებათა დამკვიდრება, სასამართლოს განახლება, ადგილობრივ თვითმართველობის დაფუძნება და მათი სრული დემოკრატიზაცია პოლიტიკურ სფეროში. მოკლეთ, სოც.-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმი მოითხოვდა მომავალ რევოლიუციიდან ფეოდალურ ურთიერთობის ნაშთთა სრულ მოსპობას და ოთხფორმულიან საარჩევნო უფლების. დემოკრატიულ-პარლამენტარულ რესპუბლიკის დამკვიდრებას.

სოც.-დემოკრატია აკისრებდა რევოლიუციას იმას, რის გაკეთება მას არსებულ პირობებში შეეძლო. აუცილებელ გასაკეთებელ საქმეს, ისტორიულათ შესაძლებლობის განხორციელებას ჩვენი პარტია მოსთხოვდა ყველა იმ ახალ სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც მართვა-გამგეობის სავეს ხელთ იგდებდენ, ვინც უნდა ყოფილიყვენ ისინი.

როდესაც იფეთქა რუსეთის რევოლიუციამ, რუსეთის სოც.-დემოკრატია თანახმათ თავის მეცნიერულ-მარქსისტულ გათვალისწინებისა, შეეცადა წაეყვანა რევოლიუციის გემი იმ გზით, რომლის საშუალებით მას შეეძლო სამშვიდობოს გამოსვლა. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. სოც.-დემოკრატიის ბოლშევიკურმა ფრთამ ერთის დაკვრით დაფხრიწა პროგრამა-მინიმუმი, მოიძრო მარქსიზმის მძიმე ქუდი, რევოლიუცია გააქანა მაქსიმალისტურ მიმართულებით და დაღუპა იგი.

საქართველო გადურჩა ამ დაღუპვის გზას. აქ რევოლიუცია მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს თანახმათ სოც. დემოკრატიის საერთო პრინციპებისა, თანახმათ მისი მეცნიერულ-ისტორიულ გათვალისწინებისა. და, რაც ყველაზე უფრო საგულისხმოა, სოც.-დემოკრატია, მუშათა კლასის პარტია, თვით მოექცა სახელმწიფოს სათავეში და თვითვე ანხორციელებს რევოლიუციის წინ შემუშავებულ მოთხოვნილებებს.

ახლა საკითხავია, საქართველოს სოც. დემოკრატია, იძულებითი ისტორიულ პირობათა გამო, მოექცა რა სახელმწიფოს სათავეში, ფერი იცვალა, უღალატა თუ არა მან თავის წარსულს, იმას, რასაც ამბობდა, რაზეც სწერდა რევოლიუციის წინ, „შეგუა“ სინამდვილეს, მართლაც სხვა კლასის, ვინემ პროლეტარიატის, საქმეს აკეთებს ის, ან როგორც ჩვენი მტრები ამბობენ, „გაბურჟუაზიულდა“ იგი?

სოც.-დემოკრატიის ამ ორი წლის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას რომ დავაკვირდეთ, გადავავლოთ თვალი იმას, რაც გაკეთებულა ამ ხნის განმავლობაში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით პოლიტიკურს, სოციალურ და ეკონომიურ სფეროში, ვერც ერთ დარგში ობიექტიური, და არა პარტიული ქინიანობით შეპყრობილი, მეთვალყურე ვერ შეამჩნევს პარტიის ისეთ ნაბიჯებს, რაც ეწინააღმდეგებოდეს მის დიდ ხნით შემუშავებულ სამოქმედო ხაზს საერთოთ, რაც არ ეთანხმებოდეს მის მარქსისტულ მსოფლმხედველობას, არ ეყრდნობოდეს პარტიის სოციალისტურ და დემოკრატიულ სინიდისს, პირ-იქით, სოც.-დემოკრატია, როგორც სახელმწიფოებრივ ცხოვრების თვითონ მოკარნახე, უფრო ფართოთ და ღრმათ, დაუბრკოლებლივ და უმტკივნეულოთ ანხორციელებს იმ თავის მოთხოვნილებებს, რომელთაც ის წარუდგენდა სხვა, რევოლიუციის წიაღიდან გამოსულ კლასის წარმომადგენელთ.

იქნება ასე არ უნდა მოქცეულიყო სოც.-დემოკრატია, როცა ის სახელმწიფოებრივ ცხოვრების მესაჭე გახდა; იქნებ მას ხელი უნდა აეღო იმ დემოკრატიულ რეფორმათა განხორციელებაზე, რომელთაც ის მოსთხოვდა რომელიმე სხვა კლასის წარმომადგენლებს მთავრობაში და, როცა თვითონ ის მოექცა სახელმწიფოს სათავეში, მაქსიმალისტური დაღმართისკენ უნდა გაექანებულიყო?

აი, სწორეთ, ამაზეა აშენებული ჩვენი შემრცხვენელი პარტიების გოგებრობა. ჩვენი „ბურჟუაზიულობა“ მათ ეჩვენებათ იმიტომ, რომ სოც.-დემოკრატია თვით ანხორციელებს იმ დემოკრატიულ რეფორმებს, რომლებიც სხვა პირობებში ცუდათ, მაგრამ, მაინც უნდა განეხორციელებინათ რომელიმე ბურჟუაზიულდემოკრატიულ წრეებს. ჩვენ შემრცხვენელ პარტიებს ორგანიულათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ სოციალისტურმა პარტიამ შესაძლებელია და აუცილებელიც აწარმოვოს წმინდა დემოკრატიული პოლიტიკა, მათ გონიათ, რომ, რაკი სოციალისტები სახელმწიფოს დაეპატრონენ, უთუოდ, ყოველგვარ პირობებში თავის მოღვაწეობა სოციალისტურ გადატრიალებით უნდა დაიწყონ. საქართველოს სოც.-დემოკრატიის სიმტკიცეს, მის მარქსისტულ შეურყევლობას და მეცნიერულ ცხოველმყოფელობას აშკარავებს ის, რომ ის სახელმწიფოს სათავეში მყოფი, მდგომარეობის სირთულემ არ დააბნია, მტკიცეთ აკეთებს იმას, რასაც უწინ ამბობდა და მაქსიმალიზმის მოლიპულ გზაზე არ შედგა. ამას რასაკვირველია, დიდათ უწყობდა და ახლაც უწყობს ხელს ჩვენი მუშათა კლასის და მთელი დემოკრატიის მომწიფება, შეგნება.

ბოლშევიკები კი მიტომ გვკიცინებენ ჩვენ „ბურჟუაზიულობას,“ რომ, სახელმწიფოებრივ ხელისუფლებით დამთვრალებმა, მათ თითონ დაიწყეს „სოციალიზმით“ და დემოკრატიზმი „ბურჟუაზიულ ცრუმორწმუნეობათ“ გამოაცხადეს. მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდა. ჩვენმა ესერ-ფედერალისტებმა კი აქაც, როგორც ყველაფერში, მოჩანჩალების როლი იკისრეს. ჩვენი ეროვნული-დემოკრატების საყურადღებოთ კი ვიტყვით, რომ, თუ როგორ შევითვისეთ ჩვენ მათი ბურჟუაზიული პროგრამა, ამას ამტკიცებს ეროვნულ-დემოკრატების გაავთრებული ბრძოლა ამ ორი წლის განმავლობაში სოც.-დემოკრატიული მთავრობის თითქმის ყველა ნაბიჯების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ სოციალდემოკრატია სრულებით არ აკეთებს ბურჟუაზიის საქმეს.

ამას წინათ, ჩვენი გაზეთის ერთი მკითხველთაგანი გვეკითხებოდა—ვაშენებთ ჩვენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს თუ არა, უნდა პირდაპირ ითქვას, „ნურც გვრცხვენია, ნურც გვეშინიაო.“

ს.-დემოკრატია, რასაკვირველია ვერ იზრუნებს ბურჟ. სახელმწიფოს აშენებაზე, ეს არ შედის მის და მისგან წარმოდგენილ კლასის ანგარიშებში. სოც.-დემოკრატია აფუძნებს დემოკრატიულ წესწყობილებას, წმინდა დემოკრატიის ბატონობას, დემოკრატიის ბატონობა კი სრულებით არ ნიშნავს ბურჟუაზიის საქმის კეთებას. ბურჟუაზიას წმინდა დემოკრატია ისევე ეჯავრება, როგორც უწინ ფეოდალებს ეჯავრებოდა ბურჟუაზია, რადგან ამ უკანასკნელმა იცის, რომ წმინდა დემოკრატიის ბატონობა ნიშნავს იმავე დროს პროლეტარიატის ბატონობას. ისტორიამ დაამტკიცა, რომ დემოკრატია, ნამდვილი დემოკრატია, არ არსებობს, თუ სახელმწიფოს სათავეში არ მოექცევა პროლეტარიატის წარმომადგენლები.

ჩვენ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ევროპის არც ერთ სახელმწიფოში ჯერ-ჯერობით ჩვენ არ გვაქვს მაგალითი წმინდა დემოკრატიის ბატონობისა. ამ ბატონობას ასე თუ ისე უახლოვდებიან შვეიცარია და გერმანია, მაგრამ სხვაგან გამეფებულია ნახევრათ აბსოლიუტისტური წყობილება, ბატონობს ბურჟუაზია, მიუხედავათ პარლამენტარული რეჟიმისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უახლოესი მიზანი ევროპის დემოკრატიების იქნება მუშათა კლასის მეთაურობით საერთაშორისო ბრძოლა თავის ბატონობის განმტკიცებისათვის, რასაც თან მოყვება სოციალიზმის დღიურ წესრიგში დასმაც.

საქართველოს დემოკრატიამ სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობით მიაღწია იმას, რაც დიდმა ევროპამ ჯერ კიდევ უნდა მოიპოვოს. მან განამტკიცა თავისი წმინდა, უშუალო ბატონობა. საქართველოს სოციალ-დემოკრატია განაგრძობს ამ გზით ქართველი ხალხის წაყვანას. მას სწამს, რომ უდემოკრატიოთ სოციალიზმში ოცნებაა, რომ არ შეიძლება არც ერთი დიდი სოციალურეკონომიურ ცვლილების, მით უფრო სოციალისტურის, მოხდენა, თუ მას მხარს არ დაუჭერს საზოგადოების დიდი უმრავლესობა. ამის საშუალებაა კი პოლიტიკური დემოკრატია, ამიტომ ჩვენ არას დროს გვავიწყდება დებულება: სოციალიზმი დემოკრატიის გზით.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მუდამ ახსოვს მარქსის ის უდავო დებულება, რომ კაცობრიობა ისახავს განსახორციელებლად ისეთ ამოცანებს, რომელთა განხორციელება მას შეუძლია არსებულ პირობების მიხედვით. სოც.-დემოკრატიის მხარეზეა ისტორია, მეცნიერება და გამოცდილება. ამიტომ მას თავის მოქმედებაში „არც სცხვენია და არც ეშინია“.

ალ. ჟორჟოლიანი.

ახმებსა და ახლათ მოვლენილ სიონისტ-ნაციონალისტების მოღვაწეობას.

მართლაც, რომ უბედურ კაცს ქვა ალმართში ეწევაო, ისეა ჩვენი საქმე. წინეთ იყო, სულის მამა-ხახმები გვიჭვრებდენ საქმეს, გვეუბნებოდნენ: სწავლა-განათლება ჩვენი საქმე არ არისო, სარწმუნოებას ზიანს მოუტანსო, ეხლა გაგვიჩნდნენ სახადის-გვარათ უგზო-უკვლო სიონისტები და გვეუბნებიან: სწავლა-განათლება აუცილებელია, მაგრამ არა იმ ენაზე უნდა მიიღო იგი, რომლითაც ეხლა ლაპარაკობთ, არამედ—ჩვენი საკუთარი ებრაელური ენითო; ჩვენ საქართველოს სახელმწიფო და სახალხო კულტურულ და პოლიტიკური მდგომარეობა კი არ უნდა გვაინტერესებდეს, არამედ—ჩვენიო, სიონისტური, ნაციონალურიო".

თავისთავად ცხადია, რომ როგორც ერთი, აგრეთვე მეორენი მეტის-მეტი დამნაშავენი არიან ჩვენი ხალხის წინაშე, რადგანაც პირველის ხახამ-კლერიკალ-რაბინების ზეგავლენით ჩვენ მეტის-მეტი ჩამორჩენილნი ვართ. პირადი ჩვენი მდგომარეობაც უნუგეშო შეიქნა, როგორც მეტი უკულტურონი, ხოლო, თუ მეორე ახლათ ჩვენს დამცველ სიონისტ-ნაციონალისტებს დავუჯეროთ და ჩვენს უხსოვარ დროის თანამოძმე ქართველ ქრისტიანებს ჩამოვშორდით ეს ხომ მთლად დაასამარებს ჩვენს საქმეს.

რომ ხახამ რაბინების ზეგავლენას ჩვენთვის სიკეთე არ მოუტანია, ამის ნათლათ მაჩვენებელი ის გახლავთ, რომ არც ერთი პატარა ერი ისეთ ნაკლს არ გრძნობს ინტელიგენციის მხრივ, როგორც ისრაელები.

და რომ ახლად მოვლენილ ჩვენს მფარველს არა მკითხე მოამაგე სიონისტებს ჩვენთვის კარგი არა სურთ ამისი დამამტკიცებელი საბუთი მრავალია, მხოლოდ დავასახელებ რამოდენიმეს, რომელნიც საკმაოდ ნათელყოფს თუ რა სურთ მათ ჩვენთვის, ცნობილი ხახამი ბაჰზოვი ხშირათ ნახულობს საქართველოს დაბა-ქალაქებს და ვრცელ მოხსენებებს აკეთებს სალოცავებში, ცდილობს ისარგებლოს ჩვენის შეუგნებლობით და სარწმუნოებრივი „იარლიკით" აპირებს პოლიტიკურის, სიონისტურ აზრის გასაღებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამაოთ!

ერთს შაბათ დღეს მრავალ-რიცხოვან შეკრებილ ებრაელთა წინაშე სალოცავში თფილისში მთელი ორი საათი ილაპარაკა სიონისტების ხახამ ბააზოვმა და ის აზრი გაატარა, რომ ჩვენ დაგვღუპავს ქართველ ქრისტიანებთან კავშირის დაჭერაო, ჩვენ ეხლავე მოვსთხოვოთ ჩვენს მთავრობას, რომ მოგვეცეს ფართე ავტონომია და სხვა. დამსწრე მრავალრიცხოვანი ხალხის წარმომადგენელთაგან ბაბანაშვილის პირით მიიღო ასეთი პასუხი:

ჩვენ მაგაზე უფრო დაგიმადლებდით, რომ გეთქვათ—წადით ეხლა ჩვენს მთავრობას თანაგრძნობა დახმარება აღმოუჩინოთ, რომ კარზე მომდგარს მუხანათ მტერს შესაფერი პასუხი გავსცეთო. ჩვენს მთავრობას ეხლა ავტონომიას კი არ ვსთხოვთ, რომ გვაძლევდეს არ მივიღებთ და ჩვენ ჩვენს მოძმე ქართველებთან, როგორც ლხინს, აგრეთვე ჭირსაც ვიზიარებთო. ასეთი პასუხის შემდეგ რა უფლება უნდა ქონდეთ, რომ ბააზოვმა და მისმა მედავითნეებმა მასწავლებელ მელიძე-ელიაშვილებმა ხმა ამოიღოს, მაგრამ დახე მათს უტიფრობას. როდესაც ზემოთ ხსენებული ხახანაშვილის წერილი დაიბეჭდა „სახალხო საქმეში" მოროთ სალოცავსა და მლოცველებში ღრიალი: აიქა ვილუპებით—ხახანაშვილი სარწმუნოებას გვისპობსო. და ათას გვარ პროვოკაციას მიმართეს. დასასრულ, როგორც ხანანაშვილი ამბობს: სიონისტ ხახამ-კლერიკალობაზე მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის, უნდა ვახუგემო: ბააზოვი და მისი თანაშემწენი თავიანთის რაბინ ხახნებით, რომ ქართველ ისრაელობას სარწმუნოებას არავინ არ წაართმევს, ხოლო თქვენ კი დარწმუნებული უნდა იყვეთ, რომ ისრაელების სულში ასე უტიფრად ხელის ფათურის ნებას არავინ მოგცემთ. აღსანიშნავია ის ბოროტი საქციელი, რომელსაც ბ. სიონისტები სჩადიან და სარწმუნოებრივი დემაგოგიური გრძნობებით სურთ თავიანთი ბნელი პოლიტიკური აზრები გაანაღდონ. სურთ ისარგებლონ ჩვენი შეუგნებლობით და ჩვენ დაუკითხავად ჩვენისავე სახელით მოითხოვენ მათი ქვენა ზრახვებისთვის სასურველ რეფორმას ჩვენსავე მმართველ წრეებისაგან.

ვითომც ეროვნული საბჭოს სახელით ბერმანები და გებშტეინები 300,000 ებრაელის პირით მოითხოვენ ყოველივე ამას. ჩვენ, ქართველი ისრაელობა მრავალჯერ ვუცხადებთ პროტესტს და ეხლაც ხმა-მაღლა ყველას გასაგონად ვაცხადებთ: ჩვენს გულის წყრომას ბააზოვ-ბერმანების წინააღმდეგ და ვამბობთ ჩვენ, ქართველი ისრაელები არას გზით არ ვიზიარებთ მათ დამღუპველ პოლიტიკას და როგორც მკვიდრი შვილი საქართველოს მიწა-წყლისა, მოვითხოვთ ისეთ რეფორმებს და ვიზიარებთ ისეთ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენივე მოძმე ქართველები მოითხოვენ და იზიარებენ და ვერას გზით ვერ გავყვებით ისეთ პოლიტიკას, რომელსაც ჩემოდნებით და ხურჯინებით ხელში რუსეთიდან გადმოდევნილი ანუ სპეკულიაციის საწარმოებლათ მოსული ბერმან-ბერშტეინები აწარმოვებენ, ხოლო რაც შეეხება „სარწმუნოების" მთლიანათ და წმინდათ დაცვას, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვალიაროთ, რომ გაცილებით უფრო კარგათ ვინახავდით სიონისტების მოუხმარებლათ და ახლაც უზრუნველ ყოფილნი ვართ, რომ უფრო კარგათ შევინახავთ, ვიდრე თვით სიონისტებს სურთ და სწამთ იგი. რაც შეეხება თვით ეროვნულ უმცირესობათა საკონსტიტუციო საკითხს, ჩვენ იოტისოდენა ეჭვიც კი არ გვებადება, რომ ჩვენი მმართველი წრეები არა ნაკლებ ბერმანებისა მიხვდებიან, თუ როგორი რეფორმები შეეფერება ჩვენს ზემოთ ხსენებულ პაპა-მამების ზეგავლენით, კულტურულათ მიწასთან გასწორებულს ცხოვრებას, არასოდესაც არ უნდა იქნეს დაშვებული ისეთი რამ დამღუპველი ჩვენი ხალხისა, რომელიც დაარღვევს მრავალი საუკუნოებით არსებულს მეგობრულსა და ძმურს კავშირს ჩვენ, ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანთა შორის, როგორც ეს ხდება სწორეთ იმავე სიონისტ - ნაციონალისტების უვარგისი პოლიტიკით რუსეთში და სხვაგან; ამგვარათ, სრულიად ვიმედოვნებთ, თუ ჩვენი მოძმე ქართველ ქრისტიანთა მოწინავე მმართველები იცავდენ ჩვენს ინტერესებს შავი რეაქციისა და თვითმპყრობელობის დროს, მით უფრო გვჯერა, რომ დღეს, როგორც დემოკრატიული მმართველნი და უმაღლესი პრინციპების მატარებელ-მქადაგებელნი დაიცავენ, როგორც საერთოდ ყველა დაჩაგრულთა და უძლურთა ინტერესებს, აგრეთვე ჩვენსასაც, და როგორც დღემდის, შემდეგშიდაც ალორ დავრჩებით ხახამბაშების ხელით სათრევი და უფრო უარესის—სიონისტების გუდა-ნაბადი, და თუ დღეს ქართველ ერის ვაჭრობა-მრეწველურ მხარეს ვამშვენიერებთ, მომავალში ქართველი ერის ტეხნიკა-კულტურული მხარეც უნდა დავამშვენოთ. **ქართველი ისრაელი.**

## მერძევეთა კავშირი

ნაძალადევის უბანში შესდგა ახალი კავშირი „თავისუფლება" მერძევე-პირუტყვთა პატრონთა, რომელსაც მიზნათ აქვს ორგანიზაციაში თავი მოუყაროს ყველა დაინტერესებულს, აიღოს კავშირის სახელით იჯარით ადგილობრივმდებარე ქალაქის საძოვარი მინდვრები და აგრეთვე სხვა დაწესებულებისაგანაც ასეთივე და უზრუნველყოს პირუტყვი წყლისა და ბალახისაგან მინდვრათ; მოაწყოს თავისი სარძევე და რძიდან წარმომდგარი სურსათის ქარხანა-საწყობი და გააუმჯობესოს, ქალაქის გამგეობის და მთავრობის დახმარებით, როგორც ნაწარმოების ხარისხი, აგრეთვე მერძევე პირუტყვთა ჯიში; მასთან ხელი შეუწყოს ასეთივე ნაწარმოების ნორმალურ ფასებს, ადგილობრივ ბაზარზე და თანაც მიაწოდოს საზოგადო და საქალაქო დაწესებულებებს ნაწარმოები ხელსაყრელ ფასებში.

23 მაისს, დილის 11 საათზე, ნაძალადევში, ლოტკის გორაზე შესდგა კრება, კავშირის „თავისუფლება"-ს წევრთა. კრებას დაესწრო 82 სრულ ხმიანი წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მოქალაქე თ. გოლიაძე, მდივნათ ი. ზაკსი. მოხსენებას აკეთებს საბჭოს თავმჯდომარე მ. დ. მინდაძე, რომელმაც გააცნო კრებას საქმის მდგომარეობა და აგრეთვე ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკების სასურველათ დამთავრების შესახებ. მომხსენებელმა, სხვათა შორის, განაცხადა, რომ ქალაქი, გამგეობის წევრის, ბ-ნი მაჭავარიანის პირით დახმარებას შეგვპირდა, ყველა საბალახოები კუკიის აგარაკში, გარდა ქალაქის სათიბებისა, დაგვთმობა მცხოვრებთ, იჯარის სახით და არც ძველს მოიჯარადრე და არც სხვებს არ მისცემენ ხსენებულ ადგილებს. ამასთან ბ-ნი მაჭავარიანი შეჰპირდა სამინისტროსთან საქმის მოგვარებას, შესახებ იმ საბალახო მინდვრებისა, რომელიც წინათ ჰქონებია მისაკუთრებული დოლუხანოვს და ხადიროვებს და რომელიც ქალაქის საბალახო მინდვრებზე და ბალზედ არის მიკრული და რომელშიც შედის ორივე წყაროები, საიდანაც პირუტყვმა უნდა დალიოს წყალი და რომელ მინდვრებსაც დღეს კერძო პირები, სხვადასხვა ამხანაგობის სახელით, უპირებენ სამინისტროდან იჯარით აღებას საექსპლოატაციოდ. ასე რომ, ეს ადგილები გადმოტანილ იქნება ქალაქის გამგეობის უფლებაში და დაეთმობა საზოგადოებას სხვა მინდვრებთან ერთად.—გამოირკა, რომ მცხოვრებნი აღტაცებით ხვდებიან კავშირის დაარსებას და ყველანი ესწრაფიან წევრათ ჩაწერას და, თუ ზოგიერთები პირველ დღეებში ეჭვით უყურებდნენ კავშირის მოქავალს, დღეს სიხარულით უერთდებიან კავშირს, და საქმის მოსაწესრიგებლათ და კანტორის მოსაწყობათაც არის ზომები მიღებული. მოხსენება ქართულსა და რუსულ ენაზე იყო წაკითხული. კრება კმაყოფილი დარჩა მოხსენებით.

კავშირის თავმჯდომარის წინადადებით კრება ერთხმად ადგენს: რადგანაც დღეს ფრონტის დღეა, კავშირ „თავისუფლების" სახელით გაეგზავნოს საჩუქრათ ადგილობრივ საავადმყოფოში მოთავსებულ ფრონტზე დაჭრილთ საქართველოს დემოკრატიის და სახელმწიფოს საზღვრების დამცველ გმირებს, ერთი დღის დილით ნაწველი ძროხის რძე, იმ წევრთაგან კი, ვისი ძროხაც არ იძლევა რძეს, მოკრებილ იქნას თვითეულზე 50 მანეთი. რძე გადაეცეს საავათმყოფოს მთავარ გამგეობას ავათმყოფთათვის და ფულები კი ფრონტის ფონდის გასაძლიერებლათ. ტეხნიკურად სისრულეში მოყვანა ამ დადგენილებისა დაევალა კავშირის საბჭოს.

## პროფ. კავშირებში

**საქართველოს პროფეს. კავშირთა წარმომადგენლები თათბირი.**

4 მაისს მუშათა სასახლეში გაიხსნა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების თათბირი, რომელსაც დაესწრო თფილისის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, თელავის, ახალციხის, ოზურგეთის, სიღნაღის საბჭოების, კახეთის და სახაზინო რკინის გზების, ფოსტა-ტელეგრაფის და მიწისმზომელთა კავშირების წარმომადგენელნი.

პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ—ამხ. ვ. ნოდია, მდივნათ—ამხ. დ. გაჩეჩილაძე.

კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ფრონტზე დაღუპულ მეომრებს.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის და მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ და აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენება მისი მოქმედების შესახებ.

მოხსენებები და სხდომის ანგარიში დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

## ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 3 ივნისს კოლექტივის ბინაზე შესდგა მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ამხ. ვ. ინწკირველის თავმჯდომარეობით. პირველ ყოვლისა მოსმენილ იქნა წინა სხდომის ოქმი, რაც უცვლელად იქნა დამტკიცებული. თფილისის კომიტეტიდან მოხსენება გააკეთა ამხ. მ. ტერელაძემ და ი. ირემაშვილმა. მოხსენებებს კოლექტივი ღებულობს მხედველობაში და გადადის მორიგ კითხვაზე. ამხ. ირემაშვილი ინფორმაციის სახით აკეთებს მოხსენებას რუსეთიდან ჩამოსულ საქარ. დელეგაციის მუშაობიდან და რუსეთ-საქართველოს დღევანდელ ურთიერთობაზე. კოლექტივი დიდი გულდასმით ისმენს მოხსენებას და რამოდენიმე შეკითხვა-განმარტების შემდეგ ღებულობს მას მხედველობაში. მოსმენილ იქნა 9 მაისს საზოგადო პარტიულ კრებაზე არჩეულ საგამომძიებლო კომისიის სახელით ამხ. ვ. აბდუშელიშვილის განცხადება ამ კომისიის მუშაობის შესახებ. განცხადებიდან ირკვევა, რომ კომისიას შეუგროვებია საჭირო და საკმაო მასალა, მხოლოდ ჯერ მას დასკვნა არ გაუკეთებია, ამისათვის კომისიას დასჭირდება ორი დღე. ამრიგათ, კომისიის მომავალ კვირისათვის უკვე მზად ექნება მთელი საქმის კვლევა-ძიება. ამ განცხადების შესახებ კოლექტივი ადგენს: 1) კოლექტივს სასურველად მიაჩნია კომისიამ საქმის დასკვნის შემდეგ კითხვის საერთო ხასიათის შესახებ მოხსენება გააკეთოს კოლექტივის და თფილისის კომიტეტის სხდომაზე თუ ის ამის წინააღმდეგი არ იქნება. 2) კვირას, 6 ივნისს, მუსულმანთა აუდიტორიის შენობაში დილის 11 ს. ინიშნება საერთო პარტიული კრება რაიონისა, სადაც მოხსენებას გააკეთებს საგამომძიებლო კომისია 9 მაისს ამავე რაიონის პარტიულ კრებაზე წამოყენებულ საკითხის შესახებ.

მდივანი მ. ნ.

## მუშათა შორის

**თამბაქოს მუშებისგან ფრონტს:** თამბაქოს ქარხნის მუშები ყოველ წელს ამაღლებას ქეიფს აწყობენ მწარმოებელთა ხარჯზე. წელს კავშირის გამგეობამ დაადგინა: ამ მიზნით მწარმოებლების მიერ გადადებული ფულის ერთი ნაწილი ერთი დღის ხელფასის რაოდენობისა მუშებს დაურიგდეს, დანარჩენი კი ფრონტისთვის შესწირონ. ამას გარდა, კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა მუშებს, კვირაში ორი კოლოფი პაპიროსი შესწირონ მეომრებისთვის.

**30 მუშის ლიკვიდაცია.** თამბაქოს ქარხნის მუშათა პროფეს. კავშირის კომისიამ თანხმობა განაცხადა თამბაქოს ქარხნის 30 მუშის ლიკვიდაციაზე, რადგანაც ქარხანაში მუშაობა შემცირებულია ნედლი მასალის და თამბაქოს გაზიდვის შემცირების გამო. მუშებს სავსებით მიეცემათ კანონით მიკუთვნებული ყველა სალიკვიდაციო ჯილდო და აგრეთვე დასვენებისაც.

**მუშების დასასვენებლათ წასვლის შესახებ.** თამბაქოს ქარხნის მუშების კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა ქარხნის კომიტეტებს, რომ 3 კვირით დასასვენებლათ წასვლა ყოველ მუშას მიეცემა და დასვენების მაგიერ არავინ აიღოს ზედმეტი ჯილდო.

**დახმარება უმუშევართ.** თამბაქოს ქარხანა „მირი"-ის უმუშევრად დარჩენილ მუშების მძიმე მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ კავშირის გამგეობა საღამოს მართავს.

**ავჭალის მუშის ქარხანაში.** ავჭალის მუშის ქარხნის ადმინისტრაციისა და მუშებს შორის გაჩნდა უთანხმოება წარმოების შემცირებისა და იმის ნიადაგზე, რომ მუშების საერთო კრების შესახებ გაკრული განცხადება ადმინისტრაციამ ჩამოხია. მუშებმა საჩივრით მიმართეს შრომის კომისარს, რომელმაც გააფრთხილა ქარხნის ადმინისტრაცია, რომ თუ ერთხელ კიდევ ჩამოხიეს განცხადება, პასუხისგებაში მისცემენ მას. წარმოების შემცირების საკითხი კი უნდა გადაეცეს შერეულ კომისიას, ხოლო თუ აქ შეთანხმება არ მოხდა, მაშინ ქალაქის გამგეობასთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიას.

**პარტია „დაშნაკცუტიუნი" და პროფეს. კავშირი.** ოფიციანტების პროფეს. კავშირმა შრომის კომისარს განუცხადა, რომ კაფე უნიონის ადმინისტრაცია, რომელიც „დაშნაკცუტიუნის" პარტიას ეკუთვნის მოსამსახურეებს კავშირის და შრომის ბირჟის გარეშე ღებულობს.

შრომის კომისრის შეკითხვაზე კაფეს ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ხსენებულ პარტიის ცენტრ. კომიტეტის დადგენილებით მოსამსახურეებს კაფეში ნიშნავს თვით პარტია. ამაზე შრომის კომისარმა განმარტა, რომ 1918 წ. იანვრის 14-ის დეკრეტის ძალით ყველა დაწესებულებებმა მოსამსახურეები უნდა მოიწვიონ შრომის ბირჟიდან და პროფეს. კავშირის თანხმობით და ამ წესის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი.

**მოსამსახურის უკანონოთ დათხოვნა.** ქარხანა „ესვეს"-ის მოსამსახურე აბრამოვმა შრომის კომისარს განუცხადა, რომ ათი დღის ავადმყოფობის შემდეგ ექიმის მოწმობით მან ითხოვა დროებით დასვენება და ადმინისტრაციამ ის ამისთვის დაითხოვა. შრომის კომისარმა თანახმათ კანონისა, უსამართლოთ სცნო აბრამოვის დათხოვნა და ზემო ხსენებულ ქარხნის ადმინისტრაციას შესაფერი წინადადება მისცა.

## პროვინცია

**ს. ბაისუბანი.** ეს სოფელი გაშენებულია ლაგოდეხის რაიონში, თვით ლაგოდეხიდან რვა ვერსის მანძილის დაშორებით, დასავლეთით ჰყოფს გორაკი „ულელტეხილი". მოსახლეობს იმერლობა. შენობები ლამაზათ არის ჩამწკრივებული დიდ შარა-გზის მარჯვნივ და მარცხნივ ქალაქურათ. ბუნებით დაჯილდოვებულია. ჰავა მშვენიერი, ნიადაგი საუცხოვო, წყლები, მდინარეები, ახლოს ტყეები, იქვე სათესი ყანები, მობიბინე მინდვრები მნახველის ყურადღებას იპყრობს. ნოყიერი ნიადაგი გლეხებს უორკეცებს მუშაობის უნარს. სთესენ ხორბალს, სიმინდს, აშენებენ ბაღებს, ვაზებს, მხოლოდ უკანასკნელის მოვლა-მოშენება პრიმიტიულათ სწარმოებს. ხორბლის და სიმინდის მოსავალი უხვი იცის. მარტო ამ სოფლიდან რამოდენიმე ფუთი გაიგზავნა წელს დასავლეთ საქართველოსთვის.

დიდი მადლობის ღირსია ამხ. გიორგი დევიძე და ვანო გაჩეჩილაძე, რომლებიც დიდ ენერგიას ხარჯავენ საზოგადო საქმისათვის. არსებობს სკოლა, სამკითხველო, კოოპერატივი. ამხ. გიორგი დევიძის მეთაურობით შემდგარი იყო პარტიული რაზმი, რიცხვით ას კაცამდე. ეხლა ეს რაზმი ლაგოდეხის ფრონტზე არის და სხვებთან ერთად იცავს რესპუბლიკის საზღვრებს ადერბეიჯანის ურდოების შემოსევისაგან. ბაისუბანში არსებობს თავდაცვის საბჭო, რომელიც უკვე შეუდგა ფრონტზე წასულ ამხანაგების ყანების დამუშავებას. ხალხიც ამ საქმეს ხალისით ეკიდება.

გ. ჩ.

**ს. კავთისხევი.** 23 მაისს, სოფელ კავთისხევში შესდგა კავთისხევის ერობის თემის ხმოსანთა კრება სხვადასხვა საკითხების გამოსარკვევათ. კრებას თავმჯდომარეობდა მ. ლაშქარაშვილი, რომელმაც კრებას განუმარტა დღევანდელი ვითარება.

ხმოსანთა ყრილობამ მოისმინა რა ამხ. ლაშქარაშვილის სიტყვა პატივი სცა ფეხზე ადგომით ომში დაღუპულ გვარდიელთა და ჯარისკაცთა ხსოვნას და გამოსთქვა, რომ ის სავსებით იზიარებს საქართველოს თავდაცვის კომიტეტის მიერ მიღებულ ზომებს მიზანშეწონილად, წინააღმდეგ თავდამსხმელისა და ფიცსა სდებს, რომ ისინი როგორც თემის წარმომადგენელნი ყოველივე წუთში მზად არიან ზურგი გაუმაგრონ თავდაცვის კომიტეტს და საქართველოს რევოლიუციურ ლაშქარს.

ამავე კრებაზე ამხ. ლაშქარაშვილის წინადადებით არჩეულ იქნენ სოფლებში ბრძოლის ველზე წასულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტები.

X.

## წერ. რედაქციის მიმართ

ხელოვნების კომისიასთან არსებულ 26 მაისის დღესასწაულის მომწყობ საგანგებო კომისიას ხელი შეუწყო ფულის უხვი დახმარებით იტალიურ-კავკასიურმა ბანკმა 50,000 მ., ცენტრო-ბანკმა 30,000 მ., ვაჭართა ბანკმა 30,000 მ., ამიერკავკასიის ბანკმა 30,000 მ., კავკასიის ბანკმა 30,000 მ., აზოვ-დონის ბანკმა 20,000 მ., ვოლგა-კამის ბანკმა 20,000 მ., „ფრიდონოვის საბ. კანტორამ" 10,000 მ., საკრედიტო ამხანაგობამ, ურთიერთ დახმარების, 10,000 მ., ურთიერთშორის საკრედიტო დახმარების სამეურნეო საზოგადოებამ 10,000 მ., და ყოფილმა თფ. სათავად-აზნაურო ბანკმა 5,000 მ. სულ 285,000 მ., რისთვისაც ულრმეს მადლობას უცხადებთ.

**ხელოვნების კომისია.**

ხონის სამუსიკო საზოგადოების გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს იმ პირთ, რომელთაც თავისი შემოწირულებით ხელი შეუწყვეს საზოგადოების საშუალების გაძლიერებას. შემომწირველთა სია: ბ. წოწონავა—1000 მ., ალ. მებუკე—1000 მ., ეპ. ქუთათელაძე 500 მ., ივ. რატიანი—500 მ., ევ. ჰაჭანიძე 200 მ. ნ. ჰაჭანიძე 200 მ., ს. ჩოგავაძე 200 მ., ლ. ქუთათელაძე 200 მ. ბ. წოწონავა და ალ. მებუკე მიღებული არიან საპატიო წევრებად. გამგეობა ულრმეს მადლობას უცხადებს აგრეთვე ექ. პ. ი. ჩხიკვიშვილს, რომელიც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს შემოწირულების შეკრებაში.

ხონის სამუსიკო საზოგადოების **გამგეობა.**


## განცხადებანი

ახალი მოყვანილი
**მეწველი ძროხები**
**იყიდება**
იკითხეთ ოლღას ქუჩა, № 23 სოლოლაკთან. (1810 2—1)

**ნოტარიუსი**
**პოზოევის კანტორა**
იმეორებ განოვის ქუჩაზე, მ. ნათაძის სახლში, № 3.
(1813—1—1)

შემთხვევით იყიდება
**სასტუმრო**
ვორონცოვის ძეგლთან, იკითხეთ: ნევრასოვის ქ. № 1, ხილის მაღაზია, შაჰვ ლიანცოთნ. (1799 1—1)

**პორტფელი**
31 მაისს, ღამე ეტლში დამრჩა. მნახველს ვთხოვ პორტფელი დაიტოვოს და დამიბრუნოს ქაღალდები შემდეგი მისამართით: ბაქოს ქ. № 20. ბინა აზნაუროვისა, მომტანი მიიღებს კარგ საჩუქარს. (1807—2—1)

**კალათების ფაბრიკა**
აწყდის მსურველებს კალათებს: ხილეულობის, მწვანეულობის ჩას წვნიდ და ეგრეთვე სხვადასხვას, იკითხეთ: კარუსელის ქ. № 25. (ვერის ხიდის ახლოს). (1800—2—1)

ექიმი
**დ. ვ. ჯავახიშვილი**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60. (1808—თ.)

დოქტორი
**გ. გ. მეგრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი
**ნ. ლ. ტურიაშვილი**
იღებს ქალურ, საზებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და სალ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (1773—თ.)

ექიმი
**პ. გ. ვართანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. სალ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (1700—თ.)

ექიმი
**გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი**
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს., სალ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი **მ. გოლდშტეინი**
თვალით ავადმყოფებს (სათვალეების გამოწერა) დილით 9—12 ს. 4—7 საათ. ნიკოლოზის ქ. № 32. (1587 თ.)

ექიმი
**გ. ი. ოქროპირიძე**
იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

ექიმი
**ხოლოდმონ ისაიას ძე ვოლოხი**
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. (1742—თ.)

ექიმი
**ე. მ. მძინარიშვილი**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. № 22 ტელ. 10—87. (1638 თ.)

ექიმი
**ნ. მ. გაჩეჩილაძე**
(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—2)

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 8—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ექიმი
**ა. ლევენშტეინი**
შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46. (1518—თ.)

ოზურგეთში
ექიმი **აბაშიძე**
ღებულობს ავათმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის,-კუჭის და წელების, ჭლექის აქიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილის და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. კ. სიამაშვილის სახლში. (კუპ. 396.)

კბილის ექიმი
**ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**
და მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებენ კბილით ავათმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავათმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანასტასიის ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63. (24—6)

ექიმი
**ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—6)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ... ლის ქ. № 33. (1288 25—4)

**ქალაქის სახალხო სახლი**
კვირას 6 ივნისს დილით
**„ქრისტინე"**
მუს. გოგნიაშვილისა.
**„თქმულება შოთა რუსთაველზე"**
მუს. არაყიშვილისა.
**ოპერა და კონცერტი**
მონაწილეობენ კალანდაძე-აბასოვისა, ზამბახიშვილი ოქროპირიძისა, გაგუაძე, აკოფაშვილი, ვ. ჯაფარიძე, ჭუმბურიძე, დავითაშვილი, აბაშიძე. წარმოდგენას ლაქსებს ვ. რუხაძე, ოპერის შუა და ს. ნ. გოცირიძე წაიკითხავს „ვეფხვის ტყაოსანს" და სხვა სცენებს გრიმში.
დასაწყისი 12 საათზე.
გამგე სარაჯიშვილი.
(1811—1—1)

**გამოცდილი მასწავლებელი**
**ამზადებს**
საზაფხულო მოსამზადებლად კლასებში, მე-2, 3, 4, 5 კლასის მოწაფეებს საშუალო სასწავლებლისთვის ... ჩაწერა 9—1 ს. ... (ნ. 3—1)

**ვისაც უნდა ჩქარა იყიდოს ან გაყიდოს:**
**სახლები, აგარაკები, ქონება**
და ... გოლოვინის პრ. № 3 ... (1815 1—1)